საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ...

№ 232 ხუთშაბათი, 16 მაისი 1918 წ. № 232

# სახალხო საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 50 კაპ., უკანასკნელზე—30 კაპ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ—1 მ., უკან—50 კ. ფასი ხამგლოვიარო განცხადებისა ზომაზეა დამოკიდებული: 15×2 ღირს 10 მან., 20×2 ღირს 15 მან., 8 საათის შემდეგ სამგლოვიარო განცხადება მიიღება სტამბა „სახალხო საქმეში" (ქ. თავართქილაძესტამბა „ნადეჟდა") ბარონის ქუჩა, სახლი № 14 და ღირება ორი მანეთით მეტი.

ყველა განცხადება კავკასიის გარეშე, მიიღება მხოლოდ რედაქციაში.

ხელის-მოწერა და დაბეჭდილი განცხადებები მიიღება „სახალხო საქმის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება: ინახება ფრთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახაზინო ქ., ხარაჯიშვილის ს. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ „Сахалхо Сакме", поч. ящ. 190.

ფასი ტფილისში და პროვინციაში 40 კაპ. რკ. გზის სადგურებ. 50 კაპ.

ტელეფონი 12—29

ბათომში საზავო მოლაპარაკება უკვე დაიწყო: წარმოდგენილია ახალი წინადადებანი.—ოჩემჩირედან იტყობინებიან: მთავრობის ჯარმა და წითელ-რაზმელებმა ბოლშევიკები გაჰფანტეს და მდინარე კოდორი გადალახეს.

გაზეთი „სახალხო საქმე" ღირს:

ერთის თვით 8 მანეთი. ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 40 კ., რკ. გზის სადგურებზე 50 კ.

ხელისმოწერა გაზეთზე მიიღება რედაქციაში დილის 9 საათიდან 3 საათამდე, ფოსტით ასე: ტფილისი, ფოსტის ყუთი 190, „სახალხო საქმის" რედაქციას.

ღრმად მწუხარებაში მყოფი ვაჟი-შვილები მიხეილ და გიორგი ზაალის ძენი ყიფიანები, ქალიშვილები დარია ზაალის ასული გაბაშვილი, ანა ზაალის ასული აბაშიძე და ბარბალე ზაალის ასული მაჭავარიანი, რძლები ნატალია სვიმონის ასული ყიფიანი, თამარ ილიას ასული ყიფიანი—შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველთა დედის, მეორეთა დედამთილის და უკანასკნელთა ბებიის

**მარიამ სიმონის ასულის ყიფიანის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი გადახდილი იქნება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში ხუთშაბათს 16 მაისს, დღის 1 საათზე. დაკრძალვა იმავე დღის სოფ. ყიფიანთ-უბანში. 497

მატილდა სამუილის ასული ფურცელაძე და მისი შვილები ალექსანდრე, ოთარ, გიორგი, ერასტი, სოლომონ, ნინო, ქეთევან და თამარი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ოთხშაბათს დილის 6 საათზე გარდაიცვალა პირველის შვილი და მეორეთა ძმა

**პოლკოვ. ირაკლი მიხეილის ძე ფურცელაძე**

პანაშვიდი დღეს სღ. 6 საათზე მიცვალებულის ბინაზე (ანდრეევის ქ. 30) მიცვალებულს ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიიდან წაასვენებენ ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე პარასკევს დილის 11 საათზე. 492

თამარ მათეს ასული და კონსტანტინე სოლომონის ძე წერეთლები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობს გარდაცვალებას პირველი ძვირფასი დედის მეორის სიდედრის

**ელისაბედ ივანეს ასული ბერიძისას**

წირვა და პანაშვიდი ვერის წმიდა ნიკოლოზის ეკლესიაში 16 მაისს დილით ხუთშაბათს დასაწ. 9 ნახ. საათზე საიდანაც წაასვენებენ წირვის შემდეგ სოფ მცხეთაში დასაკრძალავად დედათ-მონასტერში. 495

მატრონა ივანეს ასული, დიმიტრი ოტიას ძე ჯაფარიძეები, და ეკატერინე გრიგოლის ასული ლანდია მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს პირველის დაუვიწყარ ქმრის მეორის—ბიძის და მესამის მაზლისწულის

**ალექსანდრე (სანდრო) საბას ძე ჯაფარიძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება ხუთშაბათს 16 მაისს, დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდან (საპიორნის ქ. № 41) ქვაშვეთის ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 494

განუსაზღვრელ მწუხარებაში მყოფი ქვრივი ეკატერინე მიხეილის ასული ბოჭორიძისა შვილებით—სალომე და ნინოთი, ძმა გრიგოლ დიმიტრის ძე და მეუღლე მისი ქრისტინე შვილებით და სიძეებით, მოყვარე სოლომონ მიხეილის ძე ლაფერაშვილი და ეფემია ყარალაშვილისა გულითად მადლობას სწირავენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომელთაც პატივი სცეს ვერაგულად მოკლულის

**ივანე დიმიტრის ძე ბოჭორიძეს**

პირადი დასწრებით პანაშვიდებზე და გასვენებაზე. 500

ქვრივი ანა მათეს ასული ჩრდილელისა შვილებით იოსები და მარიამით გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას ძვირფასი დედის და დიდედის

**ელისაბედ ივანეს ასულის ბერიძისას.**

წირვა და პანაშვიდი ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში 16 მაისს დილით ხუთშაბათს, დასაწყისი $9^1/_2$ საათზე საიდანაც წაასვენებენ წირვის შემდეგ ს. მცხეთაში დედათა მონასტერში დასაკრძალავად.

## კახეთის კავშირი

**კოოპერატიული დაწესებულებათა**

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ რწმუნებულთა წლიური კრება დანიშნულია 20 მაისისთვის (ახალი სტილით) ქ. თელავში. 493

## ტფილისის ვაჟთა მე-3-ე გიმნაზიაში

**მისაღები გამოცდები მოსამზადებელი კლასის უმცროს განყოფილებაში (საერთოსა და გაეროვნებულში) 20-სა და 21 მაისს იქნება; პირველ კლასში 21-სა და 22 მაისს.**

გამოცდილთა ჩარიცხვის საკითხი ვაკანსიების კლასში გადაწყდება მარიამობისთვეში. მარიამობისთვეშივე იქნებიან მიღებული ბავშვები გაეროვნებულ (სომხურ) საანბანო განყოფილებაში, რომელიც მომავალი წლიდან გაიხსნება. 1165

20 მარტიდან ქ. ტფილისში გაიხსნა

## სავაჭრო სახლი „კომერსანტი"

კერძო პირთ, საზოგადოებებს, კოოპერატივებს, სხვა და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ქალაქისა და სოფლის ხალხს შეუძლია ამ სავაჭრო სახლის შემწეობით შეიძინოს ყოველგვარი ნაწარმოები, რაც კი მოიპოვება შინაურ და უცხოეთის ბაზარზე.

ყველას, ვისაც რაიმე ნაწარმოები აქვს, შეუძლია გაასაღოს სავაჭრო სახლი „კომერსანტი"-ს შემწეობით.

„კომერსანტს" ჰყავს აგენტები როგორც კავკასიის ყველა დიდ ქალაქებში და სოფლებში, ისე რუსეთის და უცხოეთის დიდ ქალაქებში.

„კომერსანტი" თვალყურს ადევნებს შინაურ და უცხოეთის ბაზარს, იცის რა ნაწარმოებია იქ გამოტანილი და რა ფასებში შეიძლება მისი შეძენა.

„კომერსანტებს" აქვს რუსეთის და უცხოეთის დიდი ფაბრიკა-ქარხნების წარმომადგენლობა და მხოლოდ მისი შემწეობით შეუძლიანთ მსურველთ ამ ფაბრიკა-ქარხნებიდან სხვა და სხვა მანქანების და ნაწარმოებების შეძენა.

„კომერსანტი"-ს კანტორა მოთავსებულია გოლოვინის პროსპექტზე ქალაქის სახლში № 10 და ღიაა დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

დეპეშით მისამართი ტფილისი „ტორგოვოში". 1160



## დიდი ცირკი ძმ. ეფიმოვებისა

მიხეილის პრ., მუშტ. ბაღი, საკუთ. ახალი შენობა. კაპიტალური საზამთრო შენობა, ტელეფ. 18—00.

დღეს 16 მაისს გამართება

## დ ი დ ი წარმოდგენა

სახელად „ათას ერთი ღამე". მთავალი სასაცილო და საშხიარული სანახაობა. კონკურენცია კლოუნებისა, კონკურენცია ჯამბაზებისა, კონკურენცია ეკვილიბრისტებისა და სხვათა. ცხენების დივერტისმენტი. დასაწყისი $8^1/_2$ საათზე.

ანონსი: მზადდება დიდი დღესასწაული არლეკინადა. 489

**ტფილისი. 16 მაისი 1918 წ.**

**კადეტები და ბოლშევიკები.** მითხარი, ვის მოსწონხარ და გეტყვი ვინა ხარო, ამბობენ.

სწორედ ზედ გამოჭრილია ეს თქმა ბოლშევიკებსა და კადეტებზე. ტფილისში გამოდის ერთი პატარა გაზეთი „ნაროდნაია სვაბოდა". მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი პატარაა, მადა ძალიან დიდი აქვს, თითქმის ისეთივე, რანაირიც ჰქონდათ კადეტების მეთაურებს ჯერ ისევ მაშინ, როდესაც ტახტის ლზე ოცნებობდნენ. ტფილისის კადეტების ორგანო, მიუხედავად თავისი პირველი ბურჟუაზიისა, მიუხედავად თავისი გატკეცილი, უკბილო იმპერიალიზმისა, მაინც ბოლშევიკების ქებაშია. ბოლშევიზმი ხომ ანარქისტული და ყაჩაღური აჯანყება არ არის,—ბოლშევიზმი რუსეთიაო, დიდის ამბით აცხადებს ბურჟუაზიული გაზეთი. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ რუსეთის კადეტები ასე არ უცქერიან ბოლშევიზმს და არც ბოლშევიკებს მიაჩნიათ კადეტები თავიანთ მეგობრებად. ვიცით, რომ რუსი კადეტები ბოლშევიკებს კი არა, მენშევიკებსა და სოციალისტ-რევოლიუციონერებსაც კი ვერ იტანენ. მიუხედავად ამისა, ტფილისის კადეტების გაზეთს მაინც შესაძლებლად მიაჩნია ბოლშევიკებს გამოექომაგოს. რათა? რისთვის? მიზანი ცხადია და ამასთანავე ერთად ვერაგული. დაე ანარქიის ცეცხლში შთაინთქას საქართველო და ამიერ-კავკასია, დაე სისხლის მორევში ჩაიხრჩოს მთელი ქართველი ხალხი და ისიც მსხვერპლი გახდეს თავ-აშვებული ანარქიისა, ოღონდ კი ამიერ-კავკასია კვლავ შერჩეს რუსეთს რუსული იმპერიალიზმის გაუმაძღარი მადის დასაკმაყოფილებლად. როდესაც თვით ბოლშევიკები იბრძვიან ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, ამას კიდევ აქვს თავისი გასამართლებელი პირდაპირი აზრი, ჩვენ მაგრამ მოვლენად მიგვაჩნია ბოლშევიზმი, დამღუპველად და ამიტომ ვებრძვით კიდეც მას. მაგრამ თვით ბოლშევიკებს სულ სხვანაირად ფიქრობდნენ და თავისებურად კიდეც ცდილობდნენ გავლენის გავრცელებას. მაგრამ როდესაც ბოლშევიკების ქებასა და გამოქომაგებას იწყებს კადეტების ტიპის გაზეთი, მაშინ ჩვენ აშკარა ვერაგობასთანა და პოლიტიკურ შარლატანობასთანა გვაქვს საქმე. რა არის თუ არა პოლიტიკური შარლატანობა კადეტების ორგანოს გამოქომაგება ბოლშევიკებისა, როდესაც მთელი კადეტიზმი საშინელი უარყოფაა ბოლშევიზმისა?

ყველაფერს ამ.ს. გაზეთი სჩადის იმიტომ, რომ ამიერკავკასიის მთავრობამ სახელმწიფოებრივი წესიერების აღსადგენად ზომები მიიღო სოხუმისა და ბაქოს წინააღმდეგ. კადეტების გაზეთის ეს არ მოსწონებია და ამ ზომების მიღებას ალიარებს რუსეთთან ომის გამოცხადებას. დროა კადეტურმა გაზეთმა შეითვისოს და გაიგოს, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სოხუმი და ბაქო, განუყოფელი ნაწილია ამიერკავკასიისა. რუსეთი აღარ არის და იქ გაბატონებული ბოლშევიკებიც დღეს არა ხვალ იძულებული გახდებიან დაემორჩილონ ამიერკავკასიის მთავრობას. ტყუილად ჰგონია კადეტების გაზეთს, რომ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა პოლიტიკური კეკლუცობა არის და მთავრობასაც, რომელსაც პოლიტიკურ წრეთა დახმარება ექნება, არ მოეპოვება იმდენი ძალა, რომ გაჰფანტოს როგორც ავანტიურისტული პარტიკულიარიზმი, ისე იმპერიალისტური გულის ზრახვანი ჩვენში ჩარჩენილი რუსული ბურჟუაზიული იდეოლოგიისა.

სოხუმი და ბაქო განუყოფელი ნაწილნი არიან ამიერ-კავკასიისა. დაე ეს ყველამ გაიგოს და კარგადაც გაიზეპიროს, რომ მოულოდნელი მათთვის შემდეგში მაინც არაფერი გაახდეს.

## ბათომის შემდეგ

3

**ბათომი და ოზურგეთი**

მტერი რომ ჩვენს მიწა-წყალზე შემოიჭრა და წინ მოდიოდა მიუხედავად იმისა, რომ ტრაპიზონში დიპლომატიურად ვვებაასებოდი,—ჩვენი სამხედრო მოუმზადებლობა პირდაპირ წარმოუდგენელი იყო. ჯარი თავმოუყრელი, უდისციპლინო, გაუწვრთნელი გვყავდა, ტეხნიკური მოწყობილობა სრულებით არ მოგვეპოვებოდა, უფროსი და გამგებელი არავინ სჩანდა. იმედია, ყველაფერი ეს თავის დროზე დაწვრილებით იქნება გამოქვეყნებული, რომ მომავალში თვალ-წინ გვქონდეს დაუვიწყარი გაკვეთილი.

ასეთ პირობებში რასაკვირველია დიდი შეცდომა იყო ბათომში გამაგრება მტრის შესახვედრად. ჯარი, რომელიც უფრო ბრბოს ჰგავნდა, რომელსაც ჯერ არ ენახა ბრძოლის ცეცხლი, არ იყო ჩაბმული დისციპლინას რკალში, ვერ შესძლებდა წინააღმდეგობის გაწევას ციხეში, სადაც საჭიროა ერთნაირი მეთოდიური გაწაფვა ხასიათისა, ცივი გონების მუშაობა. სამხედრო საქმის უვიცი ვარ, მაგრამ მაინც გავბედავ და ვიტყვი: გაცილებით საუმჯობესო იქნებოდა ჩვენთვის, სერიოზულ, თვალსაჩინო ბრძოლაში გაგვყოლოდით მტერს ან ბათომის წინ სადმე, ოლქის რომელსამე მომარჯვებულ ადგილებზე ან ბათომის აქეთ, აი თუნდ ჩოლოქთან, სადაც შემდეგ მაინც მოგვიხდა ბრძოლა. ბათომი კი სავსებით უნდა დაგვეცალა როგორც პირველს ისე მეორე შემთხვევაში.

სამწუხაროდ ეს გზა არ იქნა არჩეული და აქაც თავი მოვიტყუილეთ: გვეგონა, ციხის კედლები დაფარავდა ჩვენს წამხდრობას, მაგრამ თურმე ციხეში უფრო გამოჩნდა, რაც ბიჭები ვიყავით...

ბათომის ამბავი, ბათომიდან ჩვენი ჯარის გამოქცევა სამუდამო სამარცხვინო დაღად დააჩნდება ჩვენს ისტორიას. ამისთანა უსაფუძვლო დატოვება უდიდესი ციხე-სიმაგრეებისა შეიძლება მეორე არავის გაეგონოს. ბათომმა მთლად გააშიშვლა ჩვენი ცხოვრება და გამოვჩნდით ყოვლად ბეჩავნი და უმწეონი. გამოჩნდა ჩვენი უსაქმურობა, პრაქტიკული უნიჭობა, შეუგნებლობა მამულის მცნებისა, შეუგნებლობა ელემენტარული მოქალაქობრივი მოვალეობისა. გამოჩნდა, რომ ყოჩაღნი ვყოფილვართ ლაპარაკში და მიტინგზე, მაგრამ ლაჩარნი და უვარგისნი მოქმედებაში...

ასეთია ბათომი, ხოლო ასეთი არაა, რაც ბათომს მოჰყვა. ბევრი რამ ითქმის კიდევ ჩვენი სიგლახის შესახებ, რომ უმძიმეს საქმეს მოუმზადებელნი დავხვდით და არც ახლა ვემზადებით. მაგრამ მდგომარეობა ისეთი არაა, რომ სასოწარკვეთილებას მივეცეთ და იმედი გადავიწყვიტოთ სრულიად ჩვენის მომავლის. ქართველი ერი ჯერ მთლად არ მომკვდარა, ჩვენს ხალხში არ გამქრალა ერთიან მამაცობის სული და სურვილი თავის დადებისა საერთო საქმისათვის. თუ ჩვენი სხეული დაავადებულია, იგი მაინც ცოცხალია და ნიშანს იძლევა განკურნებისას. ბათომის ბრძოლაშიაც გამოჩნდა ამის თვალსაჩინო მაგალითი. ხოლო განსაკუთრებით მოწმობენ ამას ჩოლოქის და ოზურგეთის ამბები. აპრილის რვამ და ათმა რიცხვმა ცხადად გვიჩვენეს, რომ ქართველ ხალხს შესძლებია ბრძოლა მტერთან და თავის დადება სამშობლოსათვის. ჩოლოქმა აპრილის რვას და ოზურგეთმა აპრილის ათს გააცხოველეს ჩვენი წარსული გმირობა და ჩვენს წინ წარმოდგნენ ჯარისკაცები და რაზმელები, რომლებიც ლომებივით იბრძოდნენ და თავზარი დასცეს ოსმალოს ბანაკს.

ბათომის აღებით გალაღებული მტერი ლამობდა სამ-ოთხ დღეში ქუთაისში ჩასვლას. მაგრამ მწარედ მოიჭრა კბილი ჩოლოქთან და დიდი გაჭირვება აჩვენა ჩვენმა ჯარმა ოზურგეთშიც აპრილის ათს. მცირეწლოვანი ბიჭები, საქმესან ახლო მყოფნი ადამიანები დანამ-

დვ...ლებით ამბობენ, რომ ოსმალოს ზარალი ამ ადგილებში არის სამი ათასზე მეტი დ[ა] ხოცილი და დაჭრილი, ჩვენი კი... სამოცი ათამდეო. გვიმტკიცებენ იმასაც, რომ დროებითი ზავით ბრძოლა არ შეჩერებულიყო, აპრილის ათს ღამით ან თერთმეტს დილით ჩვენები უეჭველად შევიდოდნენ ოზურგეთში...

ყველაფერს ამას ნუ გავაზვიადებთ, მაგრამ არც იმის უარყოფა შეგვიძლია, რომ არც მთლად უვარგისი მასალაა ჩვენი ჯარი და ცოტაოდნად გაუმჯობესებულ პირობებში შეგვიძლია მტერი მოვიგერიოთ და დავიცვათ ჩვენი კერა განადგურებისაგან. ერთი ორი ასეთი გამარჯვება, როგორიც გვერგო რევასა და ათს აპრილს, ოზურგეთის დაბრუნება—და ხალხის სულიერი განწყობილებაც შეიცვლებოდა, თავის თავის რწმენა მიეცემოდა და აღარ გამოიქცეოდა ბრძოლის ველიდან, როგორც ბათომში გამოიქცა.

ხოლო ჩვენი მთავარი უბედურება, უნდა ვსთქვათ კიდევ, ის არის, რომ დღეს მთელი ხალხი უპატრონოდაა, არავინაა გამძღოლი, არაა მთავრობა მტკიცე, ნდობით აღჭურვილი. თითქოს ყველა მუშაობს, ხმაურობს, მოძრაობს, მაგრამ საქმის გამკეთებელი ნამდვილად არავინ სჩანს. სრული არევ-დარევა, ანარქიაა გამეფებული ყველაფერში და ძაღლი პატრონს ვერა სცნობს, როგორც იტყვიან. ასეა ყოველის უწინარეს ჩვენს სამხედრო უწყებაში, რომელიც დიდი ხანია მოითხოვს ძირითადს რეორგანიზაციას. აი ამის ერთი დასურათება: ხონიდან ეტლით მოვდიოდით; გზაში ერთი გლეხი შემოგვიერთდა, იქნებოდა ასე 40—42 წლის. გვითხრა: „ნასალდათარი ვარ, სამსახური არ მეკუთვნის ახლა, მაგრამ გული არ მიდგება, ჩვენს უბედურებას რომ ვხედავ. მინდა ომში წასვლა, ორჯელ უკვე ვიყავი სამტრედიაში, უფროსი და გზის მაჩვენებელი ვერავინ ვნახე. ერთი ერთს მეუბნება, მეორე მეორეს და მესამე კიდევ სხვას. შეწუხებული დავბრუნდი შინ, მაგრამ ისევ მოვდივარ, მითხარით, ვის მივმართო, ვინ მეტყვის სწორს, გამაგებიებს სწორს. თავს შევაკლავ მტერს, მაგრამ უფროსი და წინამძღოლი მომეცით!..“

მეტად დამაფიქრებელია ამ გლეხის სიტყვები. ხალხია დაქვეითებული, დაცემული, მაგრამ უფრო დაცემულნი არიან ისინი, რომლებიც ხელმძღვანელებად არიან მოწოდებულნი და ამის უნარი კი არა აქვთ!..

**ხამ. ფირცხალავა.**

## ამიერ-კავკასიის მთავრობაში.

**ხალხ. მზრუნველობის მინისტრის** რწმუნებულებად ლტოლვილთა მოსაწყობად დაინიშნეს მოქალაქენი ხალილ-ბეგ სულთანოვი და რახიმ-ბეკ თოფჩიევი: პირველი ერევნის გუბერნიის რაიონში, მეორე ბაქოს გუბერნიის.

—

**გზათა მინისტრის** მთავრობამ წინადადება მისცა მეცნიერულად განიხილონ ამ. კავკ. რკ. გზის ტარიფების შეცვლის საკითხი. განზრახულია გაადიდონ ტარიფი ფუფუნების საგნების გადატანისა.

—

**გზათა სამინისტროსთან** არსდება საავტომობილო სამართველო: უკვე შეიმუშავეს მისი კანონ-პროექტი.

—

**ფინანსთა სამინისტროსთა** არსებულ კომისიაში დაიწყეს თათბირი ახალი გადასახადების გამოძებნის შესახებ.

## ზავის გარშემო

სამი დღის წინად ამიერკავკასიის მთავრობა ინახულა 2 გერმანელმა ოფიცერმა: მათ სურვილი გამოსთქვეს ბათომ-ბაქოს ხაზის შესახებ ცნობების მიღებისა. ხმებია, რომ ძალიან აინტერესებდათ ბაქოში მყოფ ბოლშევიკების საკითხი.

—

13 მაისს მუსავატის ფრაქცია ინახულა გერმანიის სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელმა.

## ომის დეპეშები

**სტამბოლი.** 14 მაისი. საომარი ცნობა. ოსმანიეს რადიო-სადგურიდან: გერმანულად.

**პალესტინის ფრონტი** მთელ ფრონტზე ზღვის სანაპიროდან იორდანემდე თოფის სროლაა. იორდანეს აღმოსავლეთ სანაპიროზე დროგამოშვებით ინგლისელებს იერიშები მოაქვთ ჩვენს ოზიციებზე ელ-ბასსეს არხის ჩრდილოეთით, „ვავჩეხის (?) ჩრდილოეთით და სახრეთით, მაგრამ ჩვენ ისინი გავრეკეთ. სხვა ფრონტებზე მდგომარეობა უცვლელია.

**ვენა.** 14 მაისი. საომარი ცნობა.

**იტალიის ფრონტი.** მთებში, როგორც წინა დღეებში საარტილერიო სროლაა.

**ბერლინი.** 14 მაისი. საღამოს ოფიციალური ცნობა (მიღებულია ნაუენის რადიო-სადგურიდან; გერმანულად). სომის ჩრდილო სანაპიროზე ბრე-კორბიეს გზის ახლო ჩვენ ინგლისელებს შევუტიეთ. მტრის დღევანდელი კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. სხვა ფრონტებზე ახალი არაფერი მომხდარა.

**ვენა.** 4 მაისი საღამოს ოფიციალური ცნობა.

**იტალიის ფრონტი.** 14 მაისი. საომარი ცნობა. დილას დაწყებული საარტილერიო სროლა შუადღემდე გაგრძელდა. საღამოს ის განმეორდა.

**ლონდონი.** (რიცხვი არ არის). ინგლისის „პრეს-ბიუროს“ ცნობა. „დეილი-ტელეგრაფი“ არკვევს უკანასკნელ ამბებს და ამბობს: „გერმანელების კამპანია წყალქვეშა ნავებით თან და თან სუსტდება. სუბმარინები და ნაღმოსნები თან და თან ჰკარგავენ იმ თავისუფლებას, რომელიც მათ წინად ჰქონდათ. გერმანელების მთავრობას აღარ ძალუძს დააიმედოს და დაარწმუნოს გერმანელი ხალხი, რომ წყალქვეშ წარმოებული ომი ბრწყინვალედ დამთავრდება. როგორც კი გამოირკვა, რომ წყალქვეშა კამპანია დამარცხდა, გერმანელი ხალხის ყურადღება დასავლეთის ფრონტმა მიიქცია. მაგრამ რადგან ვერც აქ მიაღწიეს საწადელს, გერმანელები კვლავ წყალქვეშა ომს დაუბრუნდნენ. დარწმუნებულ უნდა ვიყოთ, რომ „წინა წყალქვეშა კამპანიის დამარცხების შემდეგ, არც ეს კამპანია მოახდენს გავლენას გერმანელ ხალხზე“. „დეილი-ტელეგრაფი“ ათავებს თავის მიმოხილვას და დასძენს: „გერმანელ ხალხს რომ საშუალება ზეებრიუგესა და ოსტენდეს ამბების გაცნობისა, ეს საკმაო არა სასიამოვნო შთაბეჭდილებას მოახდენდა მთელ გერმანიაში.

**იტალიის გაზეთი** იტყობინება, რომ გერმანელები ახალ შეტევისათვის ემზადებიან ინგლისელების წინააღმდეგ პიპერინგეს მიმართულებით. გერმანელების მზადება სასტიკ ბრძოლის მოახლოვებას უნდა მოასწავებდეს.

**„ტაიმსი“.** ბერნიდან იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობა მოკავშირეებთან შეთანხმებით დასთანხმდა დაამზადოს შვეიცარიისთვის 85.000 ტონი ნახშირი. ამ გადაწყვეტილებამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია შვეიცარიაში და აქაც არკვევენ, როგორც მეზობელი ქვეყნის ძმურ დახმარებას.

**ვენა.** 14 მაისი. მეფე კარლო დღეს გერმანიის მთავარ შტაბიდან გაბრუნდა.

## მიწად მოქმედების სამინისტროსაგან

**ამიერკავკასიის სოფლის მცხოვრებთ**

მოქალაქენო—სოფლელნო! ახლოვდება დრო, როცა ჯოგი უნდა გადერეკონ საზაფხულო საბალახოზე. წინად, როდესაც სოფლად წესიერება არ ირღვეოდა, ეროვნული შუღლი არ იყო გაღვივებული და ყველა უსიტყვოთ ემორჩილებოდა ძველი რეჟიმის ადმინისტრაციის უხეშ ძალას, ათი ერთხელ მომხდარა შეტაკება და სისხლის ღვრა ჯოგის პატრონებსა და ხშირად მთელ სოფლელებს შორის ჯოგის ყიშლაღებიდან ეილაღებზე გადენისა იეილაღების გაყოფის დროს. მიმდინარე წელს, როცა ბათომის და ყარსის ოლქის საბალახოების სარგებლობა არ შეგიძლიათ, რადგან იქ სამხედრო მოქმედებაა; ტფილისის გუბერნიის ჯოგის პატრონები იძულებულნი არიან თავის გუბერნიის ეილაღებს დაკმაყოფილდნენ, ახლა როდესაც ამიერკავკასიაში ეროვნული საკითხი მწვავე ხასიათს ღებულობს, როცა სოფლად არ არის წესიერება და ხშირად ავტორიტეტული მთავრობაც არ არსებობს, ხოლო ხალხისა და რევოლიუციის მტრებს არევ-დარევა შეაქვთ ხალხში, ჯოგების გადენა საბალახოებზე კი კიდევ უფრო გაართულებს ამიერკავკასიის სოფლის ცხოვრებას და დაღუპვის კარამდე მიიყვანს მას.

მოქალაქენო, პირუტყვის მომშენებელნო და ყველა სოფლის მცხოვრებნო! თქვენზეა დამოკიდებული დაიცვათ წეს-რიგი საბალახოებზე ჯოგის გადენის დროს. თქვენი ხმა უნდა გაიგონონ უპირველეს ყოვლისა ეილაღების გაყოფის დროს პირუტყვის მომშენებელმა იმ სოფლელებმა, რომელთაც არ შეუძლიათ ბათომის და ყარსის ოლქში გარეკონ თავიანთი ჯოგი და იძულებული არიან იმ ეილაღებით ისარგებლონ, რომელითაც ამდენ ხანს სხვა სოფლები სარგებლობდენ, ამიტომ იმედია სოფლების წარმომადგენელნი გუბერნიის საადგილ-მამულო კომიტეტებთან ერთად მშვიდობიანათ გადასწყვეტენ ამ საკითხს, როგორც ამას მოითხოვს დღევანდელი ომით და შინაური უბედურებით გამოწვეული მძიმე მდგომარეობა. სოფლის წარმომადგენელნი და საადგილ-მამულო კომიტეტები მართავენ თათბირს და ამ თათბირზე უნდა გადასწყვიტონ სად გარეკონ ჯოგი იმ სოფლელებმა, რომლებმაც ომის გამო დაჰკარგეს თავიანთი საბალახოები, ხოლო სხვა სოფლელებმა სტუმართმოყვარეობა უნდა გამოიჩინონ და ნება მისცენ განადგურებულ სოფლელებს ისარგებლონ მათი ეილაღებით.

ყველაზე მეტი სიფრთხილე, და სხვისი უფლების პატივისცემა უნდა გამოიჩინონ იმ სოფლის ჯოგის პატრონებმა, მწყემსებმა და სხვა მცხოვრებლებმა, სადაც ჯოგი უნდა გაატარონ ეილაღებზე გარეკის დროს, ამიერკავკასიაში მცხოვრებნი ერები უმეტესად სომხები და თათრები ისე არიან დასახლებულნი, რომ ეილაღებზე გარეკის დროს მუსულმანებმა სომხების სოფლებზე უნდა გაატარონ ჯოგი, ხოლო სომხებმა და ქართველებმა—მუსულმანების, გერმანელების და რუსების სოფლებზე. ხალხის მტრებს შეუძლიათ ისარგებლონ უკეთუ ჯოგის გატარების დროს მცირედი რამ ზიანი მიაყენეს სოფლელებს პირუტყვმა და ყანა გაუფუჭა ან სხვა და ეს შემთხვევა ისე ახსნან თითქოს ერთ ეროვნებას განგებ მიეყენებიოს ზარალი მეორესთვის და მით გამოიწვიონ ეროვნულ ნიადაგზე შეტაკება, რომელსაც შეუძლია საშიში ხასიათი მიიღოს და დიდი უბედურება მიაყენოს მცხოვრებთ. ვისურვოთ, რომ ეს არ მოხდეს ამიერკავკასიის ერთა ძმურ ოჯახში. და რომ ეს არ მოხდეს, ამისათვის საჭიროა იმ სოფლებში, სადაც ჯოგი უნდა გაატარონ, ადგილობრივ საადგილ-მამულო კომიტეტებმა და სადაც ის არ არის, აღმასრულებელმა კომიტეტებმა უნდა შეადგინონ საგანგებო მომრიგებელი კომისიები საადგილ-მამულო ან აღმასრულებელ კომიტეტების წევრად სოფლის ავტორიტეტიან მცხოვრებთა და პირუტყვის მომშენებელთა წარმომადგენელთაგან; ამ კომისიებმა უნდა გაარჩიონ ყველა სადაო საკითხები, რომლებსაც ჯოგის გატარება გამოიწვევს, განსაზღვრონ ზარალის რაოდენობა და მიიღონ ყოველივე ზომები აუნაზღაურონ ზარალი დამნაშავეებმა.

აირჩიეთ კომისიებში ღირსეული და მართალი კაცები, რომლებსაც ყველა თქვენ ენდობით და შეგიძლიათ მიანდოთ თქვენი ინტერესების დაცვა.

ამიერკავკასიის პირუტყვის მომშენებელნო და სოფლის ყველა მცხოვრებნო! მთავრობა, რომელსაც თქვენმა არჩეულებმა მთელი ქვეყნის ბედ-იღბალი ჩააბარეს, რომლისთვისაც ერთგვარად ძვირფასია ყველა ერის ინტერესები, რომელიც არავითარ ძალღონეს არ იშურებს, რომ დაამყაროს ქვეყნად მშვიდობიანობა და წეს-რიგი, მოგმართავს თქვენ წინადადებით: მოიკრიბეთ ძალ ღონე, მოუხმეთ თქვენ სიბრძნეს, დაიცავით სოფლად მშვიდობიანობა, საშუალება მოუსპეთ ეროვნულ შეტაკების დაწყებას ჯოგის გარეკის დროს. უკეთუ თქვენ ზომებს მიიღებთ, რომ ჯოგმა გზად ყანები არ გააფუჭოს, თქვენ დაიცავთ დათესილ მინდვრებს, უკე თუ ზომებს მიიღებთ, რომ ყანების გაფუჭების გამო შეტაკება არ მოხდეს, თქვენ ამით დაიცავთ თქვენ ჯოგს, რომელიც თქვენი კეთილდღეობის საფუძველია. უკეთუ თქვენ განადგურებულ სოფლების მცხოვრებთ ნებას მისცემთ ისარგებლონ თქვენი ეილაღებით და ხელს შეუწყობთ ამ ეილაღების სამართლიანად განაწილებას, ამით თქვენ იხსნით საბოლოოდ დაღუპვისაგან მთელ სოფლებს. სოფლად წესიერების დაცვით თქვენ იხსნით დაღუპვისაგან თავისუფლებას და რევოლიუციის მონაპოვარს რომელთაც ეხლა დიდი საფრთხე მოელის. ასეთ მეტად მძიმე დროს მთავრობას თქვენი იმედი აქვს და ამ იმედით იკრებს ძალას გაატაროს ცხოვრებაში საჭირო რეფორმები მიწის შესახებ. გაამაგროს თავისუფლება და რევოლიუციის მიერ სხვა მონაპოვარი ამიერკავკასიაში.

მიწათ მოქმედების მინისტრი **ნ. ხომერიკი.**

## დაეხმარეთ ჩვენ მეომრებს

ქალებო—მოქალაქენო!

ჩვენი ქვეყნის საზღვრებზე ჩვენი ღირსებისა და თავისუფლების დარაჯებად სდგანან მტრის წინაშე ფრონტზე ჩვენი მეომრები. ითმენენ სანგრებში აუტანელ გაჭირებას ხშირად შიმშილსა და წყურვილს, ავდარს, ომის მთელ სიმძიმეს.

ქალებო—მოქალაქენო! ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი მისი დამცველების ხელშია. თუ მოუხდა იმათ ბრძოლა ჩვენი სამშობლოს ბედნიერების დასაცველად, იმათი ძალა ჩვენი დამხსნელი ძალა იქნება. მათი უძლურება და დამარცხება ჩვენი და ჩვენი შვილების დამცირება და მონობა არის.

თუ ომი არ დაგვჭირდა, მით უფრო მეტს ანგარიშს გაგვიწევს ჩვენ სხვა ხალხი და სახელმწიფოები, რამდენადაც მეტი ძალა და ბრძოლის უნარი ექნება ფრონტზე ჩვენ მეომრებს.

ქალებო—მოქალაქენო, ჯარის ძალა მარტო თოფი და იარაღი არ არის. მაშინ არის ძლიერი ჯარის კაცი, როცა მას სიკვდილის არ ეშინია, როცა მისი საჭიროება უზრუნველყოფილია. მაშინ გმირულად მიიწევს იგი მტრისაკენ, როცა გრძნობს რომ თავის სამშობლოს უყვარს იგი, რომ მშობელი ხალხი აფასებს იმის ღვაწლს, როცა დარწმუნებულია, რომ ის არ არის უყურადღებოდ მიტოვებული და დავიწყებული თავის ძმძეთა მიერ.

ქალებო—მოქალაქენო, ჩვენმა დედებმა იცოდნენ მეომრების გამხნევება, როცა ისინი თავს სწირავდნენ სამშობლოსათვის. მაშ ჩვენც დავამტკიცოთ, რომ ჩვენ დიდებული წინაპრების ღირსეული შთამომავლობა ვართ.

ჩვენ უნდა მთელი ჩვენი შეერთებული ძალღონით ვეცადოთ, რომ ფრონტს მივაწოდოთ ყველაფერი, რაც მისთვის საჭიროა. ჩვენ უნდა მივსცეთ სანგრებში ჯარისკაცს ყველაფერი, რაც შეამსუბუქებს მის მძიმე ცხოვრებას. ფრონტიდან ისმის ძახილი, მოქალაქენო ნუ თუ ჩვენ თქვენი დამცველები დავიწყებულნი ვართ?!

იმათ არა აქვთ პაპიროსი, არა აქვთ ასანთი, რომ ანთებული პაპიროსით მაინც გათბენ ნესტიან სანგრებში, არა აქვთ ძაფი, რომ დააკერონ დაგლეჯილი ტანისამოსი. არ აქვთ არაფერი ისეთი საჭმელი, რაც ცოტათი მაინც შნოს შესძენს იმათ ღარიბულ კერძს; არა აქვთ არც ერთი მუსიკალური ინსტრუმენტი, რომ მძიმე წუთებში მუსიკამ მაინც შესძინოს მხნეობა.

ქალებო—მოქალაქენო, ნუ თუ ჩვენ დავივიწყებთ იმათ, ვისაც წილად ხვდა ჩვენი სამშობლოს განთავისუფლება.

შესწირეთ ყველაფერი რაც შეგიძლიათ, შესწირეთ ყველაფერი რაც შეგიძლიათ, შეაგროვეთ ყოველნაირი შემოწირულება თქვენ ხათეავებსა, მეგობრებსა და ნაცნობებ შორის. გადაეცით ყველა ეს იმ ქალთა წრეს, რომელსაც მიზნად აქვს დასახული დახმარება აღმოუჩინოს ფრონტზე ჩვენ ჯარის კაცებს.

ყველა თქვენი შემოწირულება დაუყოვნებლივ გაეგზავნება იმათ ვინც ჩვენ სამშობლო მიწას იცავს.

ჩვენი მეომრები სანგრებში, როცა ჩვენ სიყვარულსა და ყურადღებას დაინახავენ უეჭველად იტყვიან:

—ჩვენ დავიწყებულნი არა ვართ, ჩვენ გვიყვარვართ ერს.—და ეს სიყვარული მხნეობას შემატებს მათ ბრძოლაში, მისცემს ძალას აიტანონ ბრძოლის ასპარეზზე ყოველნაირი გაჭირვება.

შემოწირულება ნივთებისა: ძაფი, ნემსი, საპონი, სხვა და სხვა ნამცხვრები, კონსერვები, სუხარი, გალეტი, ასანთი, პაპიროსი, თამბაქო, პაპიროსის ქაღალდი, ფული, გიტარა, გარმონია, ფანქრები, ჩონგური, დაირა, ფოსტის ქაღალდი და სხ. და სხ. მიიღება წრის წევრებთან:

ნინო ნიკოლოზის ასულ გაბაშვილთან,—კოჯის ქ. № 11.

მაკრინე სიმონის ასულ ჩხენკელთან,—სოლოლაკი, სასტუმრო „ინტერნაციონალი“.

მარიამ ქაიხოსროს ასულ რამიშვილთან,—კიროჩნი ქ. № 48.

ანნა ივანეს ასულ ხომერიკთან,—მატინოვის ქ. № 25.

ნინო ნაკაშიძესთან,—„ნაკადულის“ რედაქციაში. დავითის ქ № 2.

## ახალი ამბავი

◆ **ჯარში გაწვეულთა უზრუნველყოფა.** რესპუბლიკის მთავრობამ სეიმში წარსადგენად შეიმუშავა კანონ პროექტი ჯარში გაწვეულ სათადარიგო ჯარისკაცების და მოხალისეთა უზრუნველყოფის შესახებ, კანონპროექტით მათ ადგილი (სამსახურში) ენახებათ და ჯარიდან დაბრუნებისას მათ დაუბრუნებათ ადგილებით ძველი სარგოთი და ახალი დამატებითი ჯილდოთი. ჯარში ყოფნის დროს მათი სარგო არ ეძლევათ. მათ ადგილას ახალ მუშებსა და მოსამსახურეებს პირობით მიიღებენ.

◆ **შვეციის მისია** შემახით გაემგზავრა ბაქოში სამხედრო ტყვეების ალსანიხსნად.

◆ **სამხედრო მინისტრი გიორგაძე** თავის თანაშემწის გენ.-მაიორის კვინიტაძის თანხლებით სეიმის და მთავრობის მცველი ნაწილები გასინჯა და სამხედრო ტაძრის გალავანში მიმართა სიტყვით. ამავე დღეს მათვე გასინჯეს პირველი ქართული საცხენოსნო პოლკი. მინისტრს მუსიკით შეეგებნენ. გასინჯვის დროს იყო ქართულ კორპუსის უფროსი გენ. გაბაშვილი თავის შტაბით. ამის შემდეგ ოფიცერთა საკრებულოში მინისტრის თანადასწრებით გაიმართა მცირე ნადიმი. მინისტრმა აგრეთვე გასინჯა ქართული სამორტირო დივიზიონი და ორდინართა ესკადრონი. მინისტრი მათი მდგომარეობით კმაყოფილი დარჩა.

◆ **ეროვნული საბჭოს კრება.** დღეს საღ. 7 საათზე ეროვნულ საბჭოს კრება დანიშნული.

◆ **ხოფ. საროსთან ბრძოლაში მო**ჰკლეს პოდპოლკოვნიკი გიორგი პავლეს ძე კობეშავიძე. მიცვალებულს ბორჯომში 15 მაისს უნდა მოესვენებიათ.

◆ **ახალქალაქში გაგზავნილი დელეგაცია.** ამიერკავკასიის სეიმის წევრი ქ. გაზაზიანი, საოლქო ცენტრის წევრი ტ. გ. ავეტისიანი და ა. ა. ისრაელიანი გაგზავნეს ახალქალაქის მაზრაში საგანგებო უფლებებით საადმინისტრაციო და სამხედრო საქმეების დავალებით.

◆ წითელ ჯვარის მოწყალე დას ანნა-მარგარიტა კრაკს ნება მიეცა ყველა საავადმყოფოში მოათავსოს გერმანელთა და ავსტრიელთა ტყვეები.

◆ **ძარცვა-გლეჯა.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო ცნობა, რომ ზაქათალის ოლქის კომისარმა შაბანჩეკოვმა აეკრძალა სომხებს ოლქის საზღვარ გარედ გასვლა, გზაში გავრცელებულ ძარცვა-გლეჯის გამო. ძარცვავენ აგრეთვე მაჰმადიანებს, მაგალითად უკანასკნელ დღეებში გაძარცვეს რამოდენიმე მაჰმადიანი ქალი, რომლებსაც ფეხსაცმელებიც გახადეს.

◆ **მობილიზაცია.** სამხედრო სამინისტრომ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნით, დახმარება გაუწიონ კაცების და ცხენების მობილიზაციაში.

◆ **სადგურ სანაინიდან** 14 მაისს საგანგებო საგამომძიებლო კომისიის წევრი ბარსოვი მთავრობას დეპეშით ატყობინებს: „სად. სანაინზე სდგას ორი სამგზავრო მატარებელი, იმათი გაგზავნა აკრძალულია, რადგანაც საბაბია, ჯავშნოსანი მატარებელი და მცველები არ არიან; უპურობის გამო სიმშილობაა.

◆ **კავკავის საოლქო სასამართლოს** თავმჯდომარე მიხ. მ. მღვდლიევი ინიშნება ამიერკავკასიის მთავრობის განკარგულებაში მთავრობის საქმეთა სამმართველოში.

◆ **ძარცვა.** 14 მაის, ღამის 3 საათზე ყარსელ ლტოლვილს ჩილოვს, 19 თებერვლის ქუჩაზე, ბოროტმოქმედებმა 2,000 მან. წაართვეს.

◆ **სანდარიდან** აგენტი გველესიანი გზათა მინისტრს დეპეშით: აუწყებს სოფ. სარვანის, ქიზილ-ოტპელოს და სანდარის აღმასრულებელ კომიტეტებმა გამოაცხადეს, რომ იმისთვის რომ ბოლო მოუღონ მატარებლების გაძარცვას მე 44 ვერ., რომელსაც ახდენენ ბანდარის ქიურაქლის და იმბირის მცხოვრებლები საჭიროა ჯავშნოსან მატარებლის გამოგზავნა.

◆ **ოჩემჩირედან** იტყობინებიან, რომ მთავრობის ჯარმა და წითელრაზმელებმა ბოლშევიკთა ბრბოები გაჰფანტეს, მდინარე კოდორზე გადავიდნენ და წინ მიიწევენ.

◆ **სახელმწიფო ბანკში.** დროებით შესწყდა ფულის დახურდავება.

◆ **ტფილისის დამცველმა შტაბმა შეიპყრო:** ქართულ მე-11 პოლკის ჯარის კაცი ივ. მურადაშვილი ვინსუოვსკის მოთვისებისათვის; გულიბანოვი—მკვლელობისათვის; ჯარისკაცნი: გაპონ-, სუსლოვი, ანისიმოვი და კრიუჩკოვი მუქარისათვის, მე-279 პოლკის პორუჩიკი გალლოლოვი ყალბი დოკუმენტებით სურსათის აღებისათვის, მიხ. ავთანდილოვი ჩხუბისათვის, პ. ბაბიჩენკო ვინტოვკას გაყიდვისათვის.

◆ **სამხედრო სანიტარიის ინსპექტორმა** წინადადება მისცა ტფილისის მუშ.თა და ჯარის კაცთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, ტფილისში დააბრუნონ სანიტარული მატარებელი № 1 რომლის სათ ვეში ს გას ეჭიმი ლორთქიფანიძე. წინადადება ასრულებული არ იქმნა, რადგანაც გამოირკვა რომ მატარებელი გაგზავნილია თავდაცვის მთავარ საბჭოს მიერ.

◆ **მილიციელების შესახებ.** ჯარის კაცთა და მუშათა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ მილიციელებს ჯამაგირი მოუმატონ, რადგანაც მცირე ჯამაგარის გამო უკეთესი მილიციელები სამსახურიდან მიდიან.

◆ **სომხის ეროვნული საბჭო** სათანადო ზომებს იღებს, რათა უზრუნველჰყოს სომეხ—ლტოლვილების გამგზავრება ჩრდილო კავკასიასა და რუსეთში.

◆ **დიმ. ჭალაგანიძე.** სამეგრელოს სოფ. ძარტვილში ამ დღეებში გარდაიცვალა ქართულ საეკლესიო გალობა-სიმღერის (იმერული კილო) ზედმიწევნით კარგად მცოდნე ღრმად მოხუცებული დიმიტრი ჭალაგანიძე. განსვენებულმა ყველა საგალობლები შეასწავლა თავის შვილს ანდრია ჭალაგანიძეს. უმრავლესობა ამ საგალობლებისა არ არის ნოტებზე გადაღებული და საჭიროა ვისგანაც ჯერ არს მიაქციონ ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება. დიმ. ჭალაგანიძის მოწაფენი არიან გალობის მცოდნე პირები მღვდელი რ. ხუნდაძე და თ. [illegible]ქორი.

◆ **ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო მთავრიშვილის და ამხ. გამოცემული წიგნი „სახელმწიფოებრივი ცენტრალიზაცია (ავტონომია და ფედერაცია“), იურიდიული მონოგრაფია ნ. ჟორჟიკიასი. წიგნი შეიცავს 108 გვერდს, ღირს 2 მან.

◆ **ახალი კოოპერატივი.** თამამშევის ქარვასლაში, სადაც ძმათა ფიროზაშვილების მაღაზია იყო, გაიღო ყოფილება კოოპერატივ „დახმარებისა“. სახოვაგე, ზოგიერთ გამონაკლისით, ეძლევა არა წევრთაც.

◆ **ტფ პოლიტეხნიკუმის გადატანა.** აგრონომმა მუჰატინსკიმ კავკავის ქალაქის საბჭოში წინადადება შეიტანა ტფილისის პოლიტეხნიკუმის ქ. კავკავში გადატანის შესახებ. მან განაცხადა, რომ მისი უკანასკნელ ყოფნის დროს ქ. ტფილისში პოლიტეხნიკუმის პროფესორთა წრემ დაავალა შეეკითხოს კავკასიის თვითმართველობას. ხომ არ მოისურვებს ქალაქი, რომ ტფილისის პოლიტეხნიკუმი გადატანილ იქმნას კავკავში, რადგანაც ტფილისში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა რუს პროფესორებს არ აძლევს შეძლებას განაგრძონ იქ თავისი მოღვაწეობა, და თუ კავკავი მოისურვებს ამას შეუძლიათ პოლიტეხნიკუმის იქ გადატანა იმ პირობით. თუ ქალაქი მისცემს შენობას პოლიტეხნიკუმისათვის. რაც შეეხება ხარჯს, რადგან პოლიტექნიკუმს აქვს საკუთარი თანხა, იქნებ ქალაქს არც კი დასჭირდეს ფული გაღება. გახიხილეს რა ეს საკითხი და მიიღეს რა მხედველობაში, რომ ტფილისის პოლიტეხნიკუმის გადატანა კავკავში აუცილებელია, საბჭომ დაადგინა: ყოველი ზომა მიიღოს უახლოეს დროში ამ გადატანის შესაძლებლად და შემდეგ სხდომაზე. აუწყონ ეს ქალაქის თვითმართველობის პოლიტ. შესაფერ შენობათ საბჭოს აზრით გამოდგება ყოფილი კადეტთა კორპუსი, ამ შენობაში მოთავსებული სამხედრო გიმნაზია შეიძლება გადატანილ იქნას ყოფილ სუვოროვის სამხედრო სასწავლებელში. პოლიტეხნიკუმის პროფესორებთან მოლაპარაკება ამ საქმის შესახებ დაავალეს ქალაქის თავს ცირულნიკოვს.

## სომხის ლტოლვილები და ჩვენი ინტერესები

(საქ. ეროვნულ საბჭოს საყურადღებოდ).

გაზეთებმა გვაუწყეს ერთი ფრიად საგულისხმო ცნობა; სომხების ეროვნულმა საბჭომ აუკრძალა სომხის ლტოლვილებს ჩრდილო კავკასიაში წასვლა.

ერთი ვიკითხოთ რა მოსაზრება ჰქონდა სომხის საბჭოს როცა ასეთი დადგენილება გამოჰქონდა?

ჯერ კიდევ მიმდინარე ომის პირველ პერიოდში დიდძალი სომხობა შემოეხიზნა საქართველოს. ახლა კიდევ დღითიდღე ახალი ლტოლვილთა ჯგუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონები მოიმართებიან ტფილისისა და ქართლისკენ.

თვითონ ქართველი ხალხი უმისვლო წლის წინაშე დგას, ხალხი სიმშილობის მოლოდინშია და მთავრობა საჭიროდაც კი არ სთვლის მოზღვავებული ლტოლვილთა ლეგიონები შეაჩეროს.

ჩვენ გვგონია, დროა ქართულმა ეროვნულმა საბჭომ ყურადღება მიაქციოს ამ უდიდეს საფრთხეს და ზომები მიიღოს რათა საქართველოს ტერიტორია ზედმეტი ელემენტების ჩამოსახლებისაგან დაიფაროს.

შოლრაიტ.

## საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

დღეს, 16 მაისს, პარტიის კლუბში დანიშნულია ტფილისის უბანთა წარმომადგენლების სასწრაფო კრება. სასურველია საუბნო კომიტეტები დაესწრნენ სრული შემადგენლობით.

—

პარასკევს, 17 მაისს, ნაძალადევში დანიშნულია მორიგი პარტიული კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. სამსონ ფირცხალავა, თემაზე: „ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა" დასაწყისი საღამოს 7 საათზე. ეკლესიის ეზოში. ვსთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ.

## თათრებისაგან ბორჩალოს მაზრის ქართველ სოფ. მოს-ლეების აოხრება

ქართველთა და თათართა შორის წარსულ საუკუნეთა დიდ ისტორიულ ომების შემდეგ ბორჩალოს მაზრაში მაინც კიდევ საკმაოდ დარჩა ქართველთ მოსახლეობის რიცხვი პატარ-პატარა სოფლების სახით, რომელშიც ჩარეულია აგრეთვექართული სომეხ-გრიგორიანებიც და ესენი შეადგენენ ჩვენი ერის სამხრეთის ცოცხალ კედელს და ლაპარაკობენ ორივენი ერთ ქართულ ენაზე. მაგ. ასეთია ბორჩ: მაზრის, თრიალეთის რაიონის სოფლები—ბოსლები, დუმანისი, ძველი დუმანისი, გორუნჯუკი, ბალიჭები, კაზრეთი, ვარდისუბანი, ყალამშია, მიჯა და სხვები. ამ ჩამოთვლილ ქართულ სოფლების გვერდზევეა თათრის სოფლები, უწინ ქართულ სოფლებად ყოფილი მაგ. კაკლიანი, დამარჩა-სანო (ანუ ყიზილქილისა), შინდლარა, ზემო და ქვემო ორიზ(ძ)ძანი, ორაშენი, ზემო და ქვემო ყარაბულახი, დარბაზი, ანგრევანი სოუხბულახი, ჯუჯაქიანთი; ახალი თათრ. სოფლები ყამარლო, იარლანჩაი, საფარლო, ტალარისხო, ალუფლო, ჰამამლო და ბაზათლო. ამ აღნიშნულ თათრის სოფლების ხელადებული ბიჭები შეიკრიბნენ სალექმალექში ჯუმა დღეს (პარასკევს) და გადასწყვიტეს ქართველ სოფლების აკლება-აწიოკება. რამდენიმე ათის კაცს საუკეთესოდ შეიარაღებულებს, მეორე დღეს შაბათს, 31 მარტს, გამოუძღვნენ ოსმან ალა ჰაჯიველიას ოღლი, მაჰმადა ყადირა მოლას ოღლი, აჰადა მირზა მაჰადას ოღლი, ეშინ ალა, ილიაზარი და სხვანი და შემოერტყნენ ს. ბოსლებს, სადაც 49 მართლმადიდებელი ქართველია და 25 ქართველი გრიგორიანი. აუტეხეს სროლა, მოჰკლეს ორი ქართველი, სამი გრიგორიანი, დასჭრეს ოთხი კაცი და მერმე შეცვივდნენ შიგ სოფელში. შეიპყრეს და წაიყვანეს ტყვედ საუკეთესო ქალრძალი, ალექსი აბრამიშვილის ცოლს, ფეხმძიმეს, კონდახებით სცემეს და უღლეური აშობინეს. იქვე ნამუსი აჰხადეს 80 წ. დედაბერს, რომელმაც გაუპატიურება ვერ აიტანა და მაშინათვე სული განუტევა ქკუაშეშლილმა. დაწიოკებული ხალხი გამოიქცა ცარიელ-ტარიელი სულის ამარა და დღეს შეხიზნულნი სხვა სოფელში ჰყრიან სველს დედამიწაზე ცის ქვეშ უხურავ-უჭმელნი... თათრები ეცნენ სარჩო-ქონების გატაცებას. არ გაუშვეს ხარი, კამეჩი, ძროხა, ცხენი, ცხვარი, თხა, ურმები, გუთნები და ყოველი სამეურნეო იარაღ-ძანქანები; გაზიდეს სახლებიდან საფენი, ლოგინი (102 წ. მოხუც უსინათლოსაც კი გამოაცალეს) კამოდი, მაგიდები, სკამები, ბელლები, ბოჭკები; ჩამოხსნეს სახლებს კარ-ფანჯარა, ფიცრებ კოჭები; ყველი, ერბო, ფქვილი, ხორბალი ქერი; ტანსაცმელი, სკივრები, ვერცხლეულ-ოქროული, ქამრები და სხვა. ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც კი რამ გააჩნდათ ჩვენ საწყალ ქართველებს, დაალაგეს ამათვე ურმებზე და ამათივე საქონლით და რამოდენიმე დღე ზიდეს და ზიდეს! მტარვალებმა ახლა მინდვრებსა და ჯიჯილებში შერეკეს თავიანთი ნ ხირჯოგები და სულ მთლად მოსტიტვლეს ნათესი. ასე დამკეს ქართველების ყანები ადრეულად!..

თათრები ს. ბოსლებს რომ მოშორდნენ, ახლა ს. დუმანისს შემოერტყნენ. ხოლო აქ რა მოხდა—გაძნელდა ცნობის მიღება შიშის და უგზოობის გამო. აოხრებულ, აფერანებულმა ბოსლების მცხოვრებლებმა აირჩიეს თავის შორის სამი კაცი: მახარე იესალაშვილი, ალექსი აბრამაშვილი და სპირიდონ იესალაშვილი და გამოგზავნეს მთავრობასთან საჩივლელად.

ყარსის ოლქიდან გამოქცეულ სომეხ ბერძენთათვის ყველაფერი არის მთავრობისაგან ნაზრუნი-საჭმელი, ბინა, პატრონობა, ხოლო ამათზე უარესად დასჯილ ქართველთა ხალხისთვის, რომელთაც ცარიელა სულის მეტი არა გააჩნიათ-რა, არაფერია და ბუნების სტიქიონი კი მათ თავისებურად შეიბრალებს!..

დიახ! როდესაც ჩვენ ქართველები ვადგევართ გადემოკრატიის გზას, ვაღრმავებთ რევოლიუციას, ვიცავთ რეალურ მოსახლეობის პრინციპს, ვაყენებთ საერთაშორისო თვითგამორკვევის უფლება—რეფერენდუმს; როდესაც ვცდილობთ ჩვენ მეზობლების გულის მოგებას, ვასწრაფებთ მათ კულტურის გზისკენ, ვიღვწით საგარეო პოლიტიკაში მათდა სასარგებლოდაც, —ამავე დროს ესენი, ნაცვლად თავაზიანობისა და მადლობისა, ნაცვლად ხელის შეწყობისა, აღტყინებულან მხოლოდ ქვენა გრძნობებით, პირუტყულ ინსტიქტებით, თავს ესხმიან ველურად საქართველოს გარშემო ქართულ სოფლებს. აწიოკებენ მათ, ჰხოცვენ, ჰგიუპატიურებენ დედებს, სპობენ ქართველთ სანაპირო მოსახლეობას. და ეს რისთვის? რა გვქონდა ცუდი ჩვენ მეზობელ თათრებისათვის? მხოლოდ და მხოლოდ კეთილმეზობლობა, პატივისცემა, ძმობა, სიყვარული! მართალია ოჯახი უმახინჯოთ არ არისო, მაგრამ როცა რამდენიმე ათასი ვაჟკაცი გონივრულ მოფიქრების შემდეგ ასეთ სამარცხვინო ნაბიჯს აკეთებს თავის ერის დასამცირებლად, მაშინ არ შეგვიძლიან გავჩუმდეთ, დავდოთ საცო პირსა ჩვენსა და არ შევძახოთ თათართა მოწინავე პირებს: თუ თქვენ არ ადასტურებთ თქვენი მასის ასეთ გამოსვლას ბორჩალოელ ქართველებზე, მიიღეთ აქტიური მონაწილეობა, სამაგალითოდ დასაჯეთ ასეთი გამოსვლა ერთი ერისა მეორისადმი, დასაწყისშივე ჩაჰკალით რა რიგ ძნელად და ძვირად არ დაგიჯდეთ ეს, რომ შემდეგში უფრო ფართო ხასიათი არ მიიღოს და მისი შედეგები სანანური არ შეიქნეს ორივე მხარისთვის. არ შეიძლება ამგვარ დანაშაულის გადაფუჩეჩება. თუ ქართველები ასეთ საქმესვე ჩავიდენდით თათრების სოფლებზე, როგორ შეხედავდით თათრები ამას?!. საჭიროა აწიოკებულ ხალხის არა მარტოდ ზნეობრივი დაკმაყოფილება (ეს ქართველ ერს უნდა მიეზღოს), არამედ სისრულით დაბრუნება ყოველივე წართმეულისა, ე. ი. მატერიალური დაკმაყოფილება.

იმედია, ჩვენი მეზობელთათრის მოწინავე წრე დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს ამის შესახებ და მეორედ აღარ აღგვამაღლებინებს ხმას ამგვარ ქართველთ საწინააღმდეგო მოვლენაზე. დევ ს. ბოსლების განადგურება თუ კი ეს არის ჯერ პირველი, იყოს ესევე უკანასკნელიც!..

ჩვენო მეზობელო თათრებო! აკი გურჯებს გულწრფელობას და სოლიდარობას გვეფიცებდით?..

ნარ-ბანი.

## სიცოცხლის რაობა

**ბრძოლის ველზე გამოწვეულ ფიქრებიდან.**

როდესაც მიწყნარებულ სროლის შემდეგ ბრძოლის ველიდან სანიტარები მოიყვანენ მოკლულ ამხანაგს და მის გვამთან თავს მოიყრით ცოცხალი ჯარისკაცები, —ინტელიგენტები და უბრალო სოფლის მუშები,—რამდენიმე წუთით, სანამ მკვდარს არ გაგვაშორებენ, ყველა თავჩაღუნული ვდგევართ დაღვრემილები, ყველას ერთი ფიქრი გაგვიტაცებს, ფიქრი ძნელად გამოსაცნობ საკითხზე—სიცოცხლის რაობაზე. რამდენიმე საათის წინედ ადამიანი ბაასობდა, მოქმედებდა, თავისი იდეალები და იმედები ჰქონდა, ეხლა კი ამ ადამიანისაგან დაბეჟილი ლეში და დარჩა მხოლოდ, მეტი არაფერი.

რად სცოცხლობდა ადამიანი ან რად მოკვდა? ჰქონდა რაიმე აზრი მის სიცოცხლეს ან სიკვდილს თუ არა?—აი კითხვები, რომელიც ბევრს ჩვენგანს დიდ ხანს არ მოსცილდება და დაჟინებით პასუხს ითხოვს. უმრავლესობა იგრძნობს რა სიძნელის ამ საკითხის გადაჭრისას, გაექცევა მას და დაიწყებს ძველებურად ცხოვრებას, მცირე ნაწილი კი ბოლომდე მიჰყვება გონების მსჯელობას ამ საკითხზე, ვერ შეურიგდება ცხოვრებას ისე, რომ არ იცოდეს, რა არის სიცოცხლე და მის რაობაზე ამა თუ იმ აზრს გამოიტანს. ამგვარი ადამიანი ან გადასწყვეტს, რომ ღირს სიცოცხლე, და იგი მისთვის უფერული აღარ იქნება, ის ყოველივე თავის მოქმედებას ერთ განსაზღვრულ მიზნისაკენ მიმართავს, ან კიდევ დარწმუნდება ცხოვრების უმიზნობაში და შეეცდება მალე განშორდეს მას.

სჩანს სიცოცხლის რაობის საკითხი საზედისწეროა და მის გადაწყვეტას უდიდესი სიფრთხილით უნდა მივეკიდოთ. ხოლო როდესაც ვარკვევთ: ღირს თუ არა სიცოცხლე, ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდეთ არა მხოლოდ იმითი, თუ რას გვეუბნება გონება, არამედ იმითიც, თუ რასა ვგრძნობთ. სიცოცხლე კრებულია ადამიანის ნაგრძნობნააზრევთა და მასში გრძნობას არა ნაკლები ადგილი უკავია, ვიდრე გონებას. „მე ვაზროვნებ, მაშასადამე მე ვცოცხლობ"—ეს ფორმულა ასე უნდა შევავსოთ: „მე ვაზროვნებ და ვგრძნობ, მაშასადამე მე ვცოცხლობ". მაშ სიცოცხლის პრობლემის გადაწყვეტის დროს ყურადღებოდ ნუ დავტოვებთ იმას, რასაც გრძნობა გვიკარნახებს და მის ძახილს გონების დასკვნებზე ნაკლებ ყურადღებას ნუ მივაქცევთ.

ჩვენ წინ საკითხია: რა არის მიზანი ცხოვრებისა? ამ საკითხს გონება სხვაგვარად აყენებს: აქვს კი სიცოცხლეს რაიმე მიზანი?—და თითონვე უპასუხებს—არა. არა მიტომ, რომ იგი უაზროთ თავდება. სიცოცხლეს რომ მიზანი ჰქონდეს, მისი მოსპობა უცაბედ შემთხვევაზე არ იქნება დამოკიდებული. რა მიზანი ჰქონდა ბრძოლის ველიდან მოტანილ ამხანაგის სიკვდილს თავის და თავად. მისი სიკვდილი ხომ უცაბედი შემთხვევაა. მას შეეძლო ერთი წუთით ადრე ამოეყო თავი თხრილებიდან ან ერთი წუთით გვიან და ტყვია ასცდებოდა. ცხადია, რომ ტყვიის სრბოლა და ადამიანის მოძრაობა, ეს ორი მსვლელობა მხოლოდ უცაბედად მოხდენ ერთ და იმავე მომენტში და უცაბედად მოსპეს ადამიანის სიცოცხლე. და განა შეგვიძლიან მიზანშეწონილად ჩავთვალოთ ის, რაც მიზანშეუწონილად ან ბოლოვდება? რა მიზანი უნდა ჰქონდეს ადამიანის სიცოცხლეს, როდესაც მისი მოსპობა უცაბედ შემთხვევაზეა დამოკიდებული. ეს უცაბედი შემთხვევა კი მუდამ იარსებებს—მაშინაც კი, როდესაც ომები აღარ იქნება. ტფილისის საზოგადოებას ალბად არ დავიწყნია ის უბედური შემთხვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა გოლოვინის პროსპექტზე: ერთი სახლი ჩამოინგრა და რამოდენიმე კაცი იმსხვერპლა. ქვის ჩამოვარდნა და კაცის გავლა უცაბედად მოხდა ერთ და იმავე დროს და უცაბედად მოსპო ადამიანის სიცოცხლე. და როგორც უნდა გავაუმჯობესოთ ცხოვრება, ასეთი უცაბედი შემთხვევები მუდამ იქნება, მაშასადამე სიცოცხლესაც თავისთავად არასოდეს არ ექნება მიზანი.

რას გვეუბნება ამით გონება?—ცხოვრებას არა აქვს მიზანი, მაშასადამე ჩვენ უმიზნოთ ვცხოვრობთ,—ამას ყოველი ადამიანი ვერ შეურიგდება და დარწმუნდება, რომ ის უნდა განშორდეს ცხოვრებას. მაგრამ აქ გრძნობა ალაპარაკებდა: დე სიცოცხლე იყოს უაზრო, ბოროტებით და ტანჯვით სავსე,—მე მაინც მინდა ის. ჩვენ ინსტიქტიურად ვებღაუჭებით სიცოცხლეს. აქ ადამიანი დიდ რყევაშია. თუ იგი მხოლოდ გონებას გაჰყვება—ის ცხოვრებას განშორდება, თუ გრძნობას გაჰყვება მხოლოდ—უაზროდ იცოცხლებს. იმართება ბრძოლა გრძნობასა და გონების შორის.

ადამიანი იღებს ცხოვრებას, ხოლო მის უაზრობას მაინც ვერ შერიგებია და შესაფერ გზას ნახულობს, როდესაც გონება გასუფევებულად და მაღლად არ ისჯელოს, ეთანხმება გრძნობას, იწყნარებს სიცოცხლეს და ამბობს: რა უყოთ, რომ ცხოვრება უმიზნოა თავის და თავად, სამაგიეროდ შენ, ადამიანს გაქვს მიზნები და შეგიძლია მისთვის ბრძოლა. აი თუ გინდ იგივე მიზანი—ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესობა—დაგისახავს მიზნათ და იბრძოლე კიდეც მისთვის, შენ იცი, რომ ადამიანის პიროვნება ერთად ერთი ღირებულებაა ამ ქვეყანად—და იბრძოლე მის განთავისუფლებისთვის, შენ იცი, რომ ეს პიროვნება შებორკილია, როდესაც მისი ერია შებორკილი—და იბრძოლე, როდესაც ამ ერს ვინმე გასრესას უპირებს. და როდესაც ამ გზას დაადგება ადამიანი, იგი მეტ ძალას გრძნობს თავისზე მტერთან ბრძოლის დროს, ლოდივით აღარ აწევს სიცოცხლის ობიექტიური უაზრობა და თავგანწირულადაც იბრძვის თავის იდეალების განსახორციელებლად.

შ. ახათიანი.

## ტყვე ექიმის წერილი ტრაპიზონიდან *)

აპრილის 17 (30) დღეს, აი ეს-ეს არის, გათავდა ჩემი და ჩემი ამხანაგების ტანჯვა-წვალების დღეები და როგორც სჩანს სიცოცხლე მაინც შეგვრჩება, თუ სხვა არაფერი. აი ეს ეს არის, შემოვიდა აქაური კომენდანტი ოსმალო ოფიცრების თანხლებით და და აღგვითქვა დღეიდან შეგვიცვლებათ რეჟიმი, მდგომარეობა და ხვალ სასტუმროში გადაგიყვანთ საცხოვრებლადო; თანაც ოფიციალური ბოდიში მოიხადა, რომ ასე უყურადღებოთ და ცუდ პირობებში იყავით აქამდის.. ყველას გულზე მოგვეშვა, გამოვცოცხლდით და სიხარულით აგვიტოკდა გული...

22 მარტს დაგვიჭირეს ტყვედ **) ამ დღიდან იწყება ჩვენი აუწერელი გაჭირვების და ტანჯვების დასაწყისი. დატყვევების დროს, რასაკვირველია ყველანი დაგვძარცვეს სრულებით. ერთი ეს იყო რომ არა გვცემდენ, თორემ ისე ტანისამოსი და ფეხსაცმელიც დაგვხადეს ბევრს. ბევრს დაგვეხმა ზოგიერთი ოსმალების ოფიცრები, თორემ სულ დაგვაშიშვლებდნენ.. ტრაპიზონამდე სულ ფეხით მოგვდევდენ, ნახევრად მშიერებს და შიშვლებს. საშინელი გაჭირვება გამოვცადეთ, მაგრამ ღმერთი გვწყალობდა ალბად, უბედურება არა შეგვხდომია რა.

ტრაპიზონში აგერ ორ კვირაზე მეტია რაც ჩამოვედით; აქ კიდევ უარესი შეიქნა ჩვენი მდგომარეობა. ერთ ოთახში, მესამე სართულზე, 15 ოფიცერი მოგვათავსეს. საჭმელს დღეში ორჯელ გვაძლევდნენ: 1 საათზე და საღამოს 8 საათზე. პური საკმაოდ კარგი იყო, (გირვანქა ნახევარი დღეში) მაგრამ საჭმელს ძალიან ცოტას ნახევრად მშიერები ვიყავით. ჩაი და შაქარი არა გვქონდა სრულებით.

ყველაზე უფრო მაინც სიბინძურე გვაწუხებდა. ერთი თვის გამოუცვლელი საცვლები ტანზე შემოგვაჯჯა, ტ.....ბი დაგვეხვია უწყალოდ და სიცივეც ძალზე გვაწუხებდა. შინელი და ფრენჩი აღარა მაქვს; წამართვეს; ფრენჩის მაგივრად დახეული, ბინძური „პიჯაკი" მაცვია, რომელიც ჩემმა გამძარცველმა მიწყალობა. კოტეს წაღები ორჯელ გამხადეს, მაგრამ ფეხზე არ მოერგოთ და ისევ უკან დამიბრუნეს. დიდი მადლობა უნდა ვუთხრა ამისათვის კოტეს, თორემ ფეხშიშველი გამოვივლიდი 160 ვერსს. ტალახში და სიცივეში. აბანოში ერთხელ წაგვიყვანეს, მაგრამ საცვლები ისევ ბინძური ჩავიცვით. საწოლები, რასაკვირველია, არა გვაქვს, ცივ იატაკზე ვეყარნეთ ყველანი ერთხანს და სიცივესაგან გათოშილი გვქონდა სისხლი და ძარღვები. მხოლოდ ერთი კეთილი ოსმალოს ექიმის დახმარებით ბინძური და ძველი ქეჩა მოგვცეს, რომელიც ძირს გვაქვს გაფენილი საწოლად.

მე ცოტა უკეთეს პირობებში ვარ საწოლის მხრივ. ამ კეთილ ექიმმა გამომიგზავნა თავის „პოხოდნი" საწოლი და ერთი თხელი შალის საბანი ძალზე მცივა ხოლმე, მაგრამ სხვებთან შედარებით უკეთესადა ვარ.

ყველანი ძალზე დავსუსტდით, ზოგი ავადაც შეიქნა, ყველას მუცელი აგვეშალა... ორი საავადმყოფოში გავაგზავნეთ დიდის ხვეწნით. ძალიან შეშინებული ვიყავით ამ ყოფით, ბევრი ჩვენგანი სასოწარკვეთილებას ეძლეოდა და გაიძახოდა: „არც ერთი არ გადავრჩებით ცოცხალიო" გზაში ოფიცრები (ოსმალოსბის) ზრდილობიანად გვექცეოდენ, გვანუგეშებდნენ ტრაპიზონში ყველაფრით დაგაკმაყოფილებენ, ნუ შეშინდებითო. არც ოსმალოს ჯარის-კაცები გვეპყრობოდენ ცუდად, პირიქით გულწრფელ თანაგრძნობას გვიცხადებდნენ... ჩამოვედით აქ და დღემდე არავინ გვაქცევდა, ექიმის გარდა, ყურადღებას. ეს იყო რომ საშინელ საგონებელში გვაგდებდა ყველას: რა გველოდება თუ ასეთ ყოფაში დავრჩით სამ-ოთხი ან კიდევ ხუთი თვე, იმედი არსაიდან სჩანდა. მაქეთ რა ხდებოდა არა ვიცოდით გარკვევით. ამ უკანასკნელ ორ დღეს კი გავიგონეთ, რომ მოლაპარაკება დაწყებულა ზავზე და ამან ფრთები გამოგვასხა, იმედი მოგვეცა და გამოვცოცხლდით ცოტა:

დღეს კი, ოსმალოს პოლკოვნიკი გამოგვეცხადა და გამოგვიცხადა, გაგიუმჯობესებთ ცხოვრების პირობებს და რაც შეგვეძლება დაგეხმარებითო.. ასე და ამ რიგად გვეშველა, როგორც სჩანს! ხვალ გადავალთ სასტუმროში საცხოვრებლად და საცვლებსაც მოგვცემენ, ალბად. სიმართლის გითხრათ, თუმცა დიდი გაჭირვება, შიში და უბედურება გადამხდა თავს, მაგრამ გული მაინც არ გამტეხია, სულით არ დავცემულვარ და საკვირველი გულდამშვიდებით ვიტანდი ყველაფერს.

აი ეხლა შემოვიდა ოსმალოს ჯარისკაცი და გვითხრა შეგიძლიათ უყარაულოდ წახვიდეთ ქალაქში სასეირნოთო. ყველა ახმაურდა და ემზადებიან. მეც მეპატიჟებიან. ეს პირველი სეირნობაა ორი კვირის განმავლობაში. თუმცა სასეირნოდ არც ერთი არა ვართ გამოწყობილი, მაგრამ, რა ვუყოთ!.. რომ შევეხედოთ ციხიდან გამოქცეულ ტუსაღებსა ვგევართ ყველანი.

სასეირნოთ წავედით. პირველი ვიზიტი ჩვენ კეთილ ექიმს გავუკეთეთ, შემდეგ ავადმყოფი ამხანაგები ვინახულეთ, მხოლოდ საავადმყოფოში მარტო მე შემიშვეს. საკმაოდ სუფთად და კარგად ქონიათ საავადმყოფოები ოსმალებს. როდესაც უკან ვბრუნდებოდით, გზაში ოსმალოს ჯარისკაცი დაგვეწია და გვითხრა, ექიმები მოვიდნენ და შენ გხმობენო. სირბილით დავბრუნდი ძველ სადგომში, მართლაც ორი ექიმი დამხვდა წამიყვანეს თავის მთავარ ექიმთან, პროფესორი ყოფილა მათი დიდის პატივისცემით მიმიღო. ცოტა ეგზამენი გამიკეთა—მართლა ექიმი ვარ თუ არა უმაღლეს სწავლა-დამთავრებული. ეგზამენით კმაყოფილი დარჩა. შემდეგ მითხრა: ბოდიშს ვიხდით, რომ ასეთ მდგომარეობაში იყავით აქამდის, ჩვენ არ ვიცოდით თქვენ თუ ექიმი იყავითო. აქედან ერთი ექიმის თანხლებით სხვა უფროს ექიმთან გამაგზავნა და მის მფარველობის ქვეშ გადამცა. იმან აღმითქვა ყოველივე დახმარება, ხვალ მოდით ჩვენთან და ყველაფერს მოგიწყობთო. როგორც სჩანს, მუშაობასაც დავიწყებ, ჯამაგირიც მექნება ცოტა. ასე რომ აწი არა მიშავს-რა, როგორც გავს.

საღამოს ყველა სასტუმროში გადმოგვიყვანეს, სამს თითო ოთახი მოგვცეს, საწოლიც გვაქვს ცალკე და დასახურავიც. თითქოს ზღაპარი იყოს ყოველივე ეს, თვალებს არა სჯერა, სიამოვნებით წამოვგორდებით საწოლზე და პაპიროსებს ვაბოლებთ. მაქეთ რა ამბებია, ნეტავ?! კარგია თუ აწიოკებას და აოხრებას გადაურჩით. გულმოკლულები ვიყავით ყველანი ჯავრით.

18 აპრილი.

მეორე დღეს მე, უფროსი ოფიცერი და კიდევ ერთი ოფიცერი ვეჰიბ-ფაშამ მიგვიწვია დილის 11 საათზე, ძალიან თბილად მიგვიღო. გამოგვკითხა ჩვენი დატყვევების ამბავი, ჩვენ მდგომარეობას გაეცნო და საშინლად განრისხდა თავის ხელქვეითებზე. სასტიკი ბრძანება გასცა, რომ ყველაფრით დაგვაკმაყოფილონ.

ბევრი ოფიცერი დაისჯება ჩვენი გულისათვის, განსაკუთრებით იმ რაზმიდან, რომელმაც ჩვენ დაგვატყვევა. მას თურმე პირველად გაეგო, რომ ჩვენ, ქართველი ოფიცრები ტრაპიზონში ვყოფილვართ დატყვევებული. 18 აპრილს დიდი აურ-ზაური შეიქნა აქაურ ოფიცრების შორის. მე დიდი მადლობა გადავუხადე აფიცრების სახელით ვეჰიბ-ფაშას და ვთხოვე ოფიცრებს ნუ დასჯით, მათი ბრალი არ არის მეთქი. ყველა ჩემი ამხანაგები იმ დღესვე სალმოს ბათომში გაგზავნა უფროს ოფიცრების თანხლებით იმის გამოსარკვევად, თუ ვისი ბრალი იყო ჩვენი გაძარცვა. მე მთხოვა ვეჰიბ-ფაშამ თუ მოისურვებთ დარჩით აქ და თქვენ ავადმყოფ ჯარისკაცებს დაეხმარეთო.

მე თანხმობა გამოვაცხადე. გვითხრა დაწვრილებითი სია წარგვედგინა მისათვის, ვის რა ნივთები დაგვეკარგა. დაგვპირდა, რასაც ვერ დაგიბრუნებთ, ფულით გადაგიხდითო. ვეჰიბ-ფაშისგან წამოვედით ოფიცრების თანხლებით, იმ საათშივე ორი წყვილი საცვლები დაგვირიგეს, ფეხსაცმელები ყველას, ტანისამოსი ვისაც არა ჰქონდა და სხვა. ფულიც მოგვცეს 100 მანეთი თითოს. სასმელ საჭმელი უხვად მოგვეცა და უფასოდ... საღამოს 10 საათზე ჩემი ამხანაგები მოტორით გაამგზავრნენ ბათომში. მე აქ დავრჩი. ლაზარეთში მიმცეს ერთი ოთახი, სუფთა ლოგინი და სასმელ-საჭმელიც მაქვს საკმაო. ჯერ მუშაობა არ დამიწყია. ჩვენი ტყვეები აქ 250 კაცამდე იქნება, ალბად მათს ყურისგდებას მომანდობენ.

დღეს 19 აპრილია, ეს ღამე მშვენივრად გავათენე, რბილ ლოგინზე მეძინა, სუფთად და მძლარი ვიყავ. ასე რომ მე არა მიშავს რა, მხოლოდ თქვენი ჯავრი მაწუხებს.

ჩვენზე, ქართველებზე, კარგ შეხედულებისა არიან ოსმალოები...

№№

*) ეს წერილი კერძოა, მშობლებთან მოწერილი. ვბეჭდავთ ზოგი ადგილის გამოკლებით. რედ.

**) ბათომის მახლობლად.

## რეგულიარულ ჯარის და ქართველი ერის თვისებები *)

X.

### ქართველი ერის თვისებები.

ჩვენ დროში ყველა ერის ჯარი შესდგება თავის ხალხისაგან და ქართველთა ჯარიც, რომელიც ახლა დგება, დგება მხოლოდ ქართველებისაგან. სრული წარმოდგენა, რომ გვქონდეს ჩვენს ჯარზე, საჭიროა გავიცნოთ ქართველ ხალხს მხედრული თვალსაზრისით. ეროვნებას, როგორც ასეთს, აქვს თვისი საერთო დამახასიათებელი და სხვებისგან განმასხვავებელი ნიშნები და თვისებები. გრძელმა რიგმა წინაპრებისამ, პოლიტიკურ და ეკონომიურმა ევოლიუციამ, გვიანდერძა, ჩვენ ქართველებს, როგორც ფიზიკური თავისებურება აგრეთვე განსაკუთრებული შეხედულებანი, გრძნობები და გაგებანი. არ არსებობს მსოფლიოში არც ერთი რასა წმინდად დაცული. არც ქართველების სისხლია დაცული, ჩვენში უეჭველად სჩქეფს შერეული სისხლი სხვა და სხვა მოსულ ერებისა, მაგრამ დროთა ბრუნვამ შეიმუშავა ჩვენს არსებაში განსხვავებული ფიზიკური და სულიერი—ზნეობრივი სახე. ქართველი ერი ჯერ კიდევ უძველეს დროში ჩამოყალიბდა როგორც განსაზღვრული არსება—ერად. ძნელია დანამდვილებით თქმა, თუ რა გვნუცდიათ ამ უძველეს დროში ჩვენს წინაპრებს, ეს ისტორიის საიდუმლოებას შეადგენს და ბურუსით არის გარემოცული, მაგრამ იმ დროიდან კი, რომელიც ახსოვს ძველ, საშუალოს და ახალ ისტორიას, შეგვიძლია დაახლოვებით აღვნუსხოთ, თუ რა ღირს შესანიშნავი ცვალებადობა გვარგუნა ისტორიულმა ხვედრმა. ცოტა თუ ბევრი ხნით თარეშობდნენ ჩვენს მიწაწყალზე ბერძნები ალექსანდრე მაკედონელების დროს, რომაელები პომპეის და მიტრიადატის დროს სპარსელები ვახტანგ გორგასლანის შემდგომ, არაბები სელჯუკის თურქები, მონგოლები, კვლავ თათრები, სპარსელები და თურქები. ყველა ამ ხალხმა დასტოვა თვის კვალი ქართველ ერში, და იქონია გავლენა, როგორც ზნეობრივი ისე ფიზიკური. მიუხედავად ამ მოვლენისა საერო სახელმწიფოებრივმა მიდრეკილებამ, საერო ბრძოლებმა მტრის წინააღმდეგ, სჯულის ერთობამ ქართველი ერი მაინც შეარჩინა ისტორიას და მოიყვანა ჩვენამდის განსაზღვრული. ქართველი ტიპი ისე ცხადად ჩამოყალიბდა, რომ უცხოელებს არ უძნელდებათ მისი გამოცნობა სხვა ტიპებისაგან, როგორც გარეგნულად ისე ზნე ჩვეულების მიხედვით. ამასთანავე ქართველ ერში არსებობს თემობრივი სხვა და სხვაობა. დასავლეთ საქართველოს მცხოვრებნი იმერნი, მკვირცხლნი და ჩქარნი მოქმედებაში და მოძრავი ჭკუის პატრონნი განირჩევიან ამერლებისაგან რომელთაც უფრო დინჯი, მეთოდიური და მაგარი ხასიათი აქვთ. განსხვავება არის, მაგრამ საერთო მხარეები უფრო ძლიერია. ისტორიიდან ვიცით, რომ საერთო თვისება ქართველებისა არის მამაცობა. ქართველი შთაბეჭდილების ადამიანია, ძლიერ მალე აღფრთოვანდება ხოლმე და ძლიერ მალეც ეცემა სულით. ქართველთა ომების შესწავლა ცხადად გვაჩვენებს, რომ ჩვენ გარდა მამაცობისა გვახასიათებს გამჭრიახობა, ეშმაკობა-ტაქტიკა. სამხედრო ენით, რომა ვსთქვათ. როგორც შთაბეჭდილების და აღფრთოვანების ხალხს ერთი შეტევით გვიყვარს საქმის გათავება, მაგრამ თუ გაგვიცრუვდა, გავრბით (განსაკუთრებით იმერეთის ხალხნი) ქართველს წარმოდგენა განვითარებული აქვს და წინდაწინ

*) იხ. „სახალხო საქმე" 231.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოცხალ სურათად იხატავს აზრში საფრთხეს, ეს გარემოება, ხდის მას მხდალად ბრძოლის დასაწყისში, მაგრამ შემდეგ ბრძოლაში ის ლომობს, მძვინვარებს. ქართველის სამხედრო თვალსაზრისით ზედმიწევნით შესწავლა, ძლიერ ძნელია, რადგან. არ მოიძებნება მასალები ე. ი. დაწვრილებითი აღწერები იმ დიდ ეროვნულ ისტორიულ ბრძოლებისა, რომლებიც მას ჰქონია მტრებთან, ისეთი აღწერები, როგორსაც შეხვდებით დასავლეთ ევროპის ერთა სამხედრო ისტორიაში.

ეხლანდელი ჩვენი ბრძოლები ოსმალეთთან, არ ჩაითვლება ტიპიურად, რადგან ქართველ ერს ახალ ეპოქაში არ უომნია სამშობლოს იდეით. ბათომის ბრძოლებში მას არ ჰქონდა კარგად წარმოდგენილი, ვისი იქნება ბათომი ან თვითონ და ან როგორია მდგომარეობა სამშობლოსი. ნაციონალურ პოლიტიკის უქონლობამ, გადმონერგულმა კოსმოპოლიტიზმმა და 118 წლის მონობამ დაუკარგა ქართველს, ერთი თვისება ყოველთვის მისი დამახასიათებელი—გაჭკაცობა..

რადგან ჩემის ღრმა რწმენით ეს ეხლანდელი გადასხვაფერება ქართველის დროებითია; არ შევეხები და არ ვიხელმძღვანელებ ბათომის ცუდ ბრძოლების მაგალითით, მის თვისებების გამოკვლევაში. იმ ძველი ისტორიული წყაროებით, რომელიც ჩვენ ხელთ არის, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ქართველს უყვარს იდეა და მას ამჯობინებს ხშირად ფაქტორს, აგრეთვე უყვარს პირველობა. ქართული ბრბო არის ნამდვილი ბრბო, უაღრესად განვითარებულ დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ქართული ჯარის ნაწილი შესდგება ან ბრბოსაგან და რასაკვირველია იცავს თავის არსებაში, ხან ფარულად და ხან აშკარად ყველა მის თვისებებს.

ვინაიდან ქართველს უყვარს თავისუფალი მოქმედება ინიციატივა, პირველობა, ამიტომ ჩვენ ნაციონალურ ბრძოლად უნდა ჩაითვალოს ბრძოლა, გაშლილ წესში ანუ რუსულად, რომ იტყვიან „ცეპში“ სადაც ყველას ეძლევა საშუალება ზემოხსენებულის აღსრულებისა. ვსთქვი, რომ ქართველს უყვარს პირველობა თქო, ეს თვისება ხშირად კარგია, მაგრამ ხშირად კი არა სასურველი „რადგან რეგვენს და პროფანსაც სწადია პირველობა და ეს საქმეს ძლიერ აფერხებს, ღუპავს კიდეც. ასეთ თვისებების ხალხში უფრო განსაკუთრებით უნდა არსებობდეს მკაცრი დისციპლინა, რომ არამკითხე პირვლებს, მეტიჩრებს, ექნეს თავის ადგილი მიჩნეული, მის ნიჭის მიხედვით და არა მის პირად სურვილზე დამოკიდებული.

არ შეგვიძლია აუხვიოთ გვერდი ჩვენს ისტორიის იმ ფაქტებს, სადაც ვხედავთ, ძლევამოსილობას ჩვენი ჯარისას, როგორიც იყო ფარნაოზის, ვახტანგ გორგასლანის, თორნიკე ერისთავის, დავით აღმაშენებლის, თამარის, გიორგი ბრწყინვალის, სააკაძის, ერეკლე მეორის და სხვა უფრო ნაკლებ შესანიშნავ დროს, როდესაც დასწერეს ჩვენს ისტორიაში ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა სახელოვანი ფურცლები, რაიც ყველა ერთათვის საამაყო იქნებოდა. პარალელურად სახელოვანფაქტებთან ერთად სამარცხვინოსაც აქვს ადგილი და სწორეთ იმ დროს ხდებოდა ეს, როდესაც უნიჭო, უმგვანო ან და გაიძვერა მეფეები და სარდლები უდგნენ სათავეში ჩვენს ჯარს.

კარგი და ნიჭიერი უფროსებით ჩვენი ჯარი ყოველთვის სხვებზე უკეთესი იქნება, იქნება კიდევ იმიტომ რომ, როგორც ვსთქვით მას აქვს ბრბოს უკიდურესი დადებითი თვისებები: ენტუზიაზმი და ერთგულება. საშუალო ნიჭის უფროსი ვერ შესძლებს და ვერ დაიჭერს ხელში ლიდხანს გაჭირვების დროს ქართველ ჯარს, რადგან ის ყოველთვის ცდილობს დაუსხლტეს მას ხელიდან და ბრბოთ გადიქცეს. ქართველი ხალხი განსაკუთრებით აფასებს ნიჭს ტალანტს და გმირობას და აქედან ასე იქცევა მისი ჯარის კაციც. ქართველი ჯარი ამ შემთხვევაში არ გავს ზოგიერთ ერთა ჯარებს, ჯარის კაცები ხშირად კმაყოფილდებიან მარტო იმით, რომ უფ- [illegible]

შვენებდეს მხრებს, ხაჭირთა, რომ თავიც კარგი ქონდეს. ქართველი ჯარის ნაწილი, მხოლოდ მაშინ სცემს პატივს უფროსს, მხოლოდ მაშინ იქნება ის ყველასათვის მიჩნეული, როდესაც მაღალი ჭკუის იქნება.

როგორც ვსთქვით ქართველი ფანტაზიის განვითარებული წარმოდგენის და ენტუზიაზმის მდამიანია, ბრბოს უმწვერვალესად, ის უცბად აენთება და ისევ უცბად ცივდება, მასში გამეფებულია წაბაძვა და ერთგულება და ამიტომ მუდმივი რეგულიარული ჯარი ეგუება მის არსებას. რეგულიარულ ჯარის დისციპლინას შეუძლია, მხოლოდ შეაკავშიროს ის და დაათრგუნვოს ის თვისებები, რომლებიც აგრე ხელს უშლის ჯარს ომში. რეგულიარულ ჯარის კაცები ახლო ეცნობიან ერთი-მეორეს და უფროსებს და აქ ალიჭურვებიან ნდობით პატივს ცემით, ეხლანდელი ჩვენი ჯარი რასაკვირველია არ წარმოადგენს რეგულიარულ ჯარს, როგორც ასეთს, ის ბრბოა. მიზეზი ამისა არის ისიც, რომ ჩვენ ამ ჯარში შევიყარეთ თავი უცხოებმა: თუმცა ქართველები ვართ, მაგრამ ერთი მეორეს ვერ ვიცნობთ ჯარის კაცთა მასა თავის უფროსებს უმეტეს ნაწილად ვერ იცნობს, არა აქვს მისი ნდობა, არ აფასებს მას და არც სცემს ამიტომ პატივს. ეს იწვევს უდისციპლინობას, უდისციპლინობა კი სპობს ჯარს.

XI

**მილიცია.**

მილიცია ეს იდეალია, მის წინაღმდეგ ჩვენ სოციალისტებს არაფერი გვეთქმის, მაგრამ სამხედრო თვალთაზრისით მილიცია მაშინ არის კარგი და მარგებელი, როდესაც ის უახლოვდება თავის თვისებებით რეგულიარულ ჯარს და თუ მისგან შორს სდგას, იგივე ბრბოა. მილიცია ჩვენ ისე გვესმის, რომ უნდა შეიარაღდეს მთელი ერის მამაკაცობა, ვისაც კი იარაღის ტარება შეუძლია. შვეიცარიაში სადაც მილიციონური სისტემა არის მიღებული, მთელი მამაკაცობა სდგას თოფს ქვეშ, ესე იგი კარგად არის იქ მოწყობილი, რომ ძლიერ უახლოვდება რეგულიარულ ჯარს. ქვეითა ჯარისკაცი მსახურობს—იწვრთვნება 173 დღე, არტილერისტი 183 და ცხენოსანი 198 დღე, რომ არ ჩავთვალოთ დღეები მოწვევისა და დაშლისა. მასთან განმეორებითი გაწვევა ძლიერ ხშირია: 9 ჯერ და რვა ჯერ უნდა გამოცხადდეს შვეიცარიელი იარაღის დასათვალიერებლად და მასთან ყოველმა მათგანმა ყოველ წლიწადს უნდა გაიაროს სროლის კურსი, მსროლელთა საზოგადოებებში. რომ ამ მილიციამ შესძლოს მოქმედება მტერთან, ის წინდაწინ დაყოფილია ტაქტიკურ და სტრატეგიულ ერთეულების ორგანიზაციისათვის და ამის მანევრებსაც აწარმოებენ. მილიციის მობილიზაცია რთულად და მასთან დიდ ხანს გრძელდება.

იმ ერს, რომლის გვერდზე სხვას ეყოლება რეგულიარული ჯარი, მილიციის ყოლა არ შეუძლია, რადგან მილიციის მობილიზაცია გრძელდება რამოდენიმე თვეს, რეგულიარულის კი ძლიერ ხშირად რამოდენიმე საათში დასრულდება. ეს ქართველებისთვის საგულისხმიეროა, რადგან ჩვენ პატარა ტერიტორია გვაქვს და თუ მილიციონური სისტემა მივიღეთ, თათრებს და რუსებს კი ეყოლათ რეგულიარული მუდმივი ჯარი, ცხადია სანამ ჩვენ გავემზადებოდეთ მტრები რამოდენჯერმე გაივლ-გამოივლის ჩვენს ტერიტორიაზე. საერთოდ მილიციის მოწყობა და მოხმარება გაცილებით უფრო რთულია, ვიდრე რეგულიარულისა. იქ სადაც ეს სისტემა მიღებულია ეხლა გადადის მუდმივზე, მით უფრო ჩვენ ამ მომენტში მილიციაზე ფიქრი არ შეგვიძლია. არ შევეხები აქ დაწვრილებით მილიციის არსებას, ეს იყოს შემდეგისთვის, მოვიყვან დასასრულ აზრს დიდ ავტორიტეტისას, რომელმაც შეისწავლა საქმეზე მილიციონური ჯარის თვისებები და ურყევლად დარწმუნდა, რომ მარტო მილიცია ვერ დაიცავს სამშობლოსო; ეს გახლავთ ვაშინგტონი. მამა ამერიკის მილიციისა. ის ამბობს: „გამოცდილება უკეთესი მასწავლებელია ცხოვრების, ის გვიმტკიცებს ურყევლად მილიციის [illegible]

არ ისურვებს, აილოს თავის თავზე ომის გაძღოლა მილიციის საშუალებითაო“. „მილიციით დაიმედება“ დასძენს ის „გავს იმას, რომ დაეყრდნო გაბზარულ ყავარჯენსო“.

ამას ამბობს, რადგან მილიცია უფრო ბრბოს გავს ისეთ ბრბოს, რომელიც პირველ ხანებში მოქმედობდა ბათომის მიდამოებში, სადაც მრავალი კარგი ოფიცრები ჯარს აცხადებდნენ უფროსობაზე და ჯარისკაცობას თხოულობდნენ.

ჩემის აზრით დღეს მილიცია ვერ გამოგვადგება და ყველანი შევეცადოთ ჩვენი ძალ-ღონით შევქმნათ რეგულიარული მუდმივი ჯარი, რომელიც დაგვიფარავს და მოგვანიჭებს თავისუფლებას.

შეგვიძლია ვიყოლიოთ ჯარი თუ არა?

XII

სამხედრო ისტორიას, რომ გადავავლოთ თვალი დავინახავთ ცხადათ თუ როდის უჩნდებოდათ ერებს კარგი ჯარი მაგალითად **საბერძნეთში**, როდესაც თავისუფლების და დამოუკიდებელ არსებობის სიყვარულმა მიაღწია უმაღლეს წერტილამდის—შექმნეს ჯარი დიდებული, განთქმული ფალანგა იმ დროს შეუდარებელი. რომაელებმა თავისუფალმა მოქალაქეებმა, პოლიტიკოსებმა, შეგნებულმა პატრიოტებმა დამოუკიდებლობის სურვილით აღჭურვილებმა შექმნეს—ჯარი ლეგიონერები ისეთი ძლიერი, რომ შესძლეს არა თუ სამშობლოს განთავისუფლება არამედ დაიპყრეს მთელი ქვეყანა.

XII და XIII საუკუნეში **საფრანგეთში** კომუნარულ მოძრაობის დროს შექმნეს ძლიერი ჯარი, რომელმაც შესძლო ბუვეინთან ბრძოლა და როდესაც გაჰქრა სურვილი ამ მოძრაობასა, გაჰქრა ჯარიც.

**ინგლისელებმა** 100 წლი ომის დროს შექმნეს ძლევა მოსილი ჯარი რადგან დიდი იყო მათში პატრიოტული გრძნობა და ალტყინება. **შვეიცარიელებმა** შექმნეს ეროვნულ მოძრაობის დროს ყველასათვის თავზარ დამცემი ჯარი და ერთმა მუჭა ხალხმა ჩასწერა ყველასათვის სახელოვანი სახელები ისტორიაში. საუკუნოების განმავლობაში სარაცინებთან ბრძოლამ აღზარდა **ესპანელებში** პატრიოტული გრძნობა, ამაყობა და სურვილი თავისუფალ დამოუკიდებელ ცხოვრებისა ისეთი ძლიერი, რომ იმ დროს არც ერთს სხვა ერს არ ჰქონდა და ამიტომ შექმნეს ჯარი, რომელიც საუკეთესო დიდ ხანს ბატონობდა ხოლო ეს ჯარი გაჰქრა თავისუფლების სიყვარულის ჩაქრობასთან ერთად.

სიამაყემ და ძლიერმა სურვილმა თავისუფლ. განვითარებისამ შექმნა ძლევა მოსილი ქართველთა ჯარი მეთორმეტე საუკუნეში რომელიც შეუძლებელს სჩადიოდა და თავზარს სცემდა სხვა ერთაგან უძლეველ მტერს.

საფრანგეთში კვლავ ჩნდება ჯარი პირველ ხარისხოვანი რევოლიუციონურ ბრძოლების დროს. მე XVIII საუკუნეში პრუსიის ნაციონალურმა სიამაყემ გამოიყვანა ის გამარჯვებული 7 წლიან ომისაგან.

ზევით ჩამოთვლილ ისტორიულ ფაქტებიდან გამომდინარეობს ერთი ურყევი დასკვნა: **რომ მხოლოდ ის ხალხი ქმნის ჯარს, რომელშიდაც ძლიერია სურვილი და სიყვარული თავისუფლ დამოუკიდებელ არსებობისა, შეგნება პატრიოტული, ეროვნული გათვითცნობიერება. სიამაყე ნაციონალური, ალტყინება რევოლიუციონური.**

ასეთ ხანას განვიცდით ახლა ჩვენ ახლა სუფევს სინამდვილეში იდეა დამოუკიდებლობისა, თავისუფლებისა და რევოლიუციისა, თუ ამ დიად მომენტში არ აღსდგა ერი და არ შევაძლიერება ჯარის სახით, შემდეგ ვერასოდეს ვერ იზამს ამას. რაც უნდა დაქანცული იყოს ერი, ეს არ გაამართლებს მას, რადგან ყველაფერი არარაობა უნდა იყოს სამშობლოს და რევოლიუციასთან შედარებით. მწამს, რომ მხოლოდ ახლა იღვიძებს ხალხი და შექმნის ჩვენს—ჯარს, რომელიც ქვა კუთხედი იქნება საუკეთესო მომავლისა.

კაპიტანი ქუთათელაძე.


გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა
რწმუნებული მთავარი კომიტეტისა

ლ Ო რ ი
(Ветчина)
იყიდება ნიხრზე ნაკლებ ფასებში. ძველი სემინარიის შენობის ქვეშ ხუროშვილის თევზის დუქანში იარმუკასთან და კერვალიშვილთან ოლღის ქუჩაზე 40 ნომერში. 491

სამონი
(„პრობკა“)
მინერალური წყლების, ლუდის, ღვინის, კვასის და წამლების (სააფთიაქო) სოლოლაკი, სერგიევის ქ. № 14, ეზოში, მარჯვნივ. 485

ე ქ ი მ ი
[illegible]
იღებს სამებით და საშვილოსნოს ავადმყოფთ, სადამოს 5—7 ს. მისამართი: პეტროგრადის ქ. № 7. 1027

დაიჩქარეთ და შეიძინეთ საუკეთესო ღირსების
პაპიროსი, საჭმელი ზეთი და ლობიო
ძლიერ იაფად.
მისამართი: ბარონის ქუჩა 14, სახელმწიფო ბანკის გვერდით, ეზოში. 501

ჟურნალ პრომეთეს აგენტების საყურადღებოდ

ჟურნალ პრომეთეს აგენტების საყურადღებოდ ვაცხადებთ, რომ უკეთუ ჟურნალის პროვინციელი აგენტები 2 კვირის განმავლობაში არ გამოგზავნიან დარჩენილ საკვიტანციო ბარათებს, ხელის მომწერლების სიას და ანგარიშს, ჟურნალის რედაქცია იძულებული იქნება გაზეთის საშუალებით გამოაქვეყნოს იმ პირების სახელი და გვარი, ვინც ქართულ გამომცემლობის საქმეს ნებსით თუ უნებლიეთ ეგზომ ვნებას აყენებენ.

პატივისცემით პრომეთეს რედაქცია. ჟურნალის მისამართი: ტფილისი ფოსტის ყუთი 190 ჟურნალ პრომეთეს რედაქციას.

1918 წლის მაისის 14.

ფარჩის და ჩალის
უკანასკნელ ფასონზე შეკერილ ქალების და საზაფხულო ქუდები შეძენა შეიძლება
ქ-6 მიქელაძის ახლად გახსნილ
მაღაზიაში
თამამშევის ქარვასლაში, ზედა სართული №№ 31—32 კუთხის მაღაზია.

მაღაზია შეუწყვეტლივ ღებულობს გემოვნებით და ლამაზად გაკეთებულ უკანასკნელ მოდელ ფასონებს.

ყოველივე ეს და უმთავრესად კი ხელმისაწვდომი მცირე ფასები არის სრული თავდები იმისა, რომ ქ-6 მიქელაძის მაღაზია დაიმსახურებს პატივცემულ მყიდველთა ნდობას და ყურადღებას. ქუდების დაკვეთაც შეიძლება. იქვე საჭიროა გამოცდილი გამყიდველი (Опытная Продавщица). 498

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

[illegible]

1158 ტფილისის ქალაქის გამგეობა.

ე ქ ი მ ი
ი. ი. ბერიშვილი
დაბრუნდა და განაახლა მიღება ვენერიული, საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 8. 450

ე ქ ი მ ი
ვ. მუსხელიშვილი
იღებს ავადმყოფთ დღის 12—2 საათ. ვორონცოვის ქ. № 6.

ე ქ ი მ ი
დ. შარაშანიძე
იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ დილით 11—2 ს., საღამოთი 5—8 საათამდე. პავლოვის ქუჩა, № 7. 2130

ე ქ ი მ ი
დ. ვ. ჯავახიშვილი
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, ყოველ დღე, კვირის გარდა საღამოს 5—7 საათამდე, გუნიბის ქუჩ. № 41. ტელეფ. 14—09. 1032

ე ქ ი მ ი
თ ი კ ა ნ ა ძ ე
იღებს ავადმყოფებს სად. 5—7 ს. მისამართი: კიროჩნი ქ. 18, ტელეფონი 11—82. 1003

ე ქ ი მ ი
ბ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 6—8 ს. [illegible] კვირა დღეს გარდა. მისამართი: [illegible] ქ. № 67, [illegible] 1030

ე ქ ი მ ი
ს. ზ. მირზოევი
უფროსი ორდინატორი ტფილისის [illegible] ავადმყოფთ, იღებს 4—6 ს., [illegible] ქ. № 1. მეორე სართული. 1009

ე ქ ი მ ი
ნ. ა. ფოფხაძე
მიიღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფთ. საღამოს 5—7 საათამ. გრაფის ქუჩა № 8. სახლი მონასელიძისა. 459

ე ქ ი მ ი
შ. ა. მიქელაძე
მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ-დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 117.

ე ქ ი მ ი
ნ. ი. მახვილაძე
იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 4—6 ს. ელექტრიზაცია და მასსაჟი. მისამართი მ ახკოვის ქ. № 11. 426

ქ. კავკავში.
ექიმი რევაზ ალექსანდრე ძე
მ ა ჩ ა ბ ე ლ ი
მიიღებს ყოველ დღე შინაგან, ქალების და ვენერიულ ავადმყოფობისაგან. ქალების მიღება 11—1 ს. კაცებისა 5—7 ს. საღამოისა.
სლეპცოვის და მეშჩანურ ქუჩების ქიმი, სახლი პაპუნოვისა. 142

ე ქ ი მ ი
პავლე არდაზიანი
დაბრუნდა. იღებს ბავშვთა და შინაგან ავადმყოფთ, დილის 8—9 ს. საღ. 4—6 ს. მელიქოვის ქ. 12, 9 ბინა. 1009

ე ქ ი მ ი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიული, საშარდე და სასქესო მილის სნეულებანი, სიფილისი (606 და 914 შეშხაპუნება). საღამოობით 5½—7 საათ. ყოველ დღე გარდა კვირისა კერძო სამკურნალო მიხაილოვის პროსპექტი № 167. 200

ე ქ ი მ ი
მ. წინამძღვრიშვილი
უ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და ხელდიც. ინსტ.—ის შინაგან სნეულ. კლინიკებისა, გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. იღებს ავადმყ. დილის 10—12 ს. საღამ. 5—7 საათამდე, ყოველ დღე გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონც. ძეგლ. ახლო, „ბონ-მონდის“ პირდაპირ. 1029

მარტის 20 გაიხსნა
ახალი სამკურნალო
ყოველგვარ ავადმყოფთათვის
ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანის
სამკურნალოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით,
მიხეილის პროსპექტის და კიროჩნის ქუჩ. კუთხე № 22 (შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. ვენერიულ და სიფილისის ავადმყოფების მიღება—საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს. ღარიბები უფასოდ მიიღებიან კვირაობით 10—12 ს. 327

ე ქ ი მ ი
დ. ი. ჯაფარიძე
შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს დილით 11—1 ს. საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ტელეფ. 17—49. 1153

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო
სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს).
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ყოველ დღე (გარდა კვირისა დილით:
„606“ და „914“ 11—12 ს.
ა. ა. ნავასარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)
გ. ი. მაშნერი: 9—10 ს. ქალებისა და საშარდისა.
ბ. გ. აგახაროვი: 9½—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ავეტიხიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 11½ ს.
მ. გ. ბარხუდაროვი: 1—2 ს. ქალებისა და საბებიო ავადმყ.
მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ა. ნ. იხაკიანი: 6—7 ს. ქალური ავადმყ. და ქირურგიული.
რჩევა-დარიგება 1 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნავასარდიანი. 1010

სტამბა
„სახალხო საქმე“
იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს: ყოველნაირ გამოცემათა, აფიშების, სადარბაზო ბარათების, კანტორის წიგნების და სხვათა დაბეჭდვას.
საქმე სრულდება სუფთად და თავის დროზე.
კანტორა მოთავსებულია ქუჩის პირად. ბარონის ქუჩა № 14. ტელეფონი 17—96.